რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 21 აპრილი 1917 წ.

# ერთობა

„თანამედროვე აზრის გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 28 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 28

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12 „ერთობის" რედაქციის გვერდით.
მუდმივი მდივნის მოვალეობას შეასრულებს ზ. ჩიჩუა და ამხანაგებს სთხოვენ მიმართონ მას ახსნა-განმარტებისთვის.
ბიურო ღიაა დილით 11—1 საათამდე.
საღამოს 5—7 „

სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის
გორის კომიტეტი
აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ კომიტეტის ბიურო მოთავსებულია სამაზრო კომისარიატის (ყოფილი მაზრის სამმართველო) შენობაში, მუშათა დეპუტატთა საბჭოს გვერდით. პარტიაში წევრათ ჩაწერა და სხვადასხვა ცნობების მიღება ამხანაგებს შეუძლიათ ყოველ-დღე დილის 9---2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

გაზ. „ერთობის" რედაქცია და თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და მეგობრებს, რომ პიატიგორსკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცნობილი მუშაკი და ჩვენი ორგანოს ნიჭიერი თანამშრომელი
რაჟდენ იგივე მოსე ნინიძე.
დაკრძალვა მოხდება ქ. პიატიგორსკში 21 აპრილს.

მეუღლე პავლე ნანიკოს ძე, შვილი ქეთო და მული მატრონე ნანიკოს ასული ქოქიკაიშვილები ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალების, პირველის ძვირფასი მეუღლისას, მეორეს დედისას და მესამეს რძლისას დაუვიწყარ
სოფიო ფილიპეს ასულის ქოქიკაიშვილისას.
პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე. გამოსვენება მოხდება შაბათს 22 აპრილს საკუთარ სახლიდან (ვლადიმერის მოედანი სახ. № 1) დილის ათ საათზე. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. ნათესავთ და ნაცნობთ სთხოვენ რომ მობრძანდნენ და ანუგეშონ დამწუხრებული ოჯახი. 1—2

15 აპრილს დილის 7 საათზე მშვიდათ გარდაიცვალა კნეინა
ელისაბედ დავითის ასული ბებუთოვისა
რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ ვაჟები, ქალიშვილები, სიძეები, რძლები და შვილიშვილები განსვენებულისა. პანაშვიდი პარასკევს 21 აპრილს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება (რტიშჩევის ქუჩიდან № 8) შაბათს 22 აპრილს დილის 10 საათზე, კამოევისეულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე საგვარეულო აკლდამაში.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.
სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.
შაბათს, 22 აპრილს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება:
მელანიას ოინები
კომ. 4 მოქ. ჰაუპტმანისა. თარგ. კ. მესხისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი ა. არჯევანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ბ.ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, გ. გელიკურაშვილი, ამბ. ივერელი, ა. თავდგირიძე, მინდიაშვილი, ქლენტი, ს. რომანიშვილი, ჯავახიშვილი.
დასაწყისი საღ. სწორეთ 9 ნახ. საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 54 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე. შემდეგი წარმოდგენა 25 აპრილს. ✦ ✦ რეჟ. კ. შათირიშვილი.

თფილისის წვრილი ვაჭრებო!
კვირას 23 აპრილს დანიშნულია თფილისის წვრილი ვაჭართა საზოგადო კრება ახალი კლუბის ბაღში (თავად-აზნაურთა ქარვასლასთან). შესასვლელი სასახლის ქუჩიდგან (დვორცოვი) და ფრეილინის ქუჩიდგანაც.
კრება გაიხსნება დილის 10 საათზე. ვსთხოვთ უმორჩილესად თფილისის ყველა წვრილ ვაჭრებს მობრძანდნენ უსათუოდ ამ საზოგადო კრებაზე დილის 10 საათზე.
განსახილველი საგნები: 1) მოხსენება თანამედროვე მდგომარეობაზე, 2) წვრილ-ვაჭართა საზოგადოების მტკიცე შეკავშირებაზე და არჩევა წვრილ-ვაჭართა საზოგადოების მთავარი კომიტეტისა.
3—1 თფილისის წვრილ-ვაჭართა კომიტეტი.

თფილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო
აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები დაიწყება 2 მაისს. ვაკანსიები არის მხოლოდ პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში და გიმნაზიის IV, V, VI, VII და VIII კლასებში მსურველთათვის დანარჩენ კლასებშიაც შეიძლება ეგზამენების დაჭერა მხოლოდ ისინი ჩაირიცხებიან კანდიდატებათ. თხოვნები მიიღება 29 აპრილამდის. 4—1

თფილისის ქალაქის
სასურსათო კომიტეტი
15 აპრილიდან გადავიდა ახალ ბინაზე—პეტრე დიდის ქუჩა, № 4 სახლი ხან-საგინაკსკი-ავანთუზმამისა. 2—2

მუშების საყურადღებოთ
ვთხოვ ყველა მუშებს, რომელნიც მუშაობდენ მარაზაშვილის სამუშევარზე სემია აბაშიძესთან დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ქვემოთ დანიშნულ ადგილებზე აზრუმისკენ წასასვლელათ; სამუშევარი ანთავისუფლებს სამხედრო ბეგრიდან ლურჯს, წითელს და თეთრ ბილეთებიანებს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება: ქუთაისში—ნიკო ალფაიძესთან, ყვირილაში—ილაკრი არაბიძესთან, ხაშურში—ტრიფონ ჯაფარიძესთან, გომში—იორდანე ხარებაშვილთან.
4—3 სემია აბაშიძის რწმუნებული ვ. ფერაძე.

კავკასიის ოლქის საინტენდანტო სამართველო
იწვევს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ აიღონ იჯარით საინტენდანტოსათვის ხახვისა და ნიორის (გასული წლის მოსავლის) ჩაბარება. ხახვი საჭიროა 10,500 ფუთამდე და ნიორი 4000. წინადადებები სანოვაგის რაოდენობისა და ფასის აღნუსხვით მიიღება ყოველ დღე, კვირა უქმე დღეებშიაც, ზემო აღნიშნულ სამართველოში (ქ. თფილისი ნიკოლაევის 51, დღ ს 12 საათამდე ამავე წლის 30 აგვისტომდე.
განცხადებებს თან უნდა ახლდეს სანოვაგის ნიმუშები, რომელთაც მიხედვით მოხდება საქონლის მიღება. 3—1

ექიმი კ ი ბვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—09.

გ. გ. მუზრაბიანცი
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავის ტკივილის, —ტიპითა, დიდი სალონოიდი ... მიღება და არსონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მთავარის ჭლექის, სისხლ ნაკლულობის, ... ნევრასთენიისთვის. ხერხემალის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5---7ს-მდე. მისამართი: ზებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდიჭმთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

## საერთო თუ სეპარატიული ზავი.

პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს ისტორიულმა მოწოდებამ მთელი ქვეყნის ერებისათვის შესაფერი გამოხმაურება იპოვა ყველა ქვეყნებში. მოკავშირე სახელმწიფოების მუშათა კლასი ამ მოწოდების გავლენით თანდათან უახლოვდება და უერთდება იმ პრინციპს, რომელიც წამოაყენა რუსეთის მუშათა კლასმა: ზავს უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. მას უერთდებიან მოწინავე სახელმწიფოთა სოციალისტური პარტიებიც.

ეს კიდევ ცოტაა. თვით სახელმწიფოების მართველნი მთავრობანი ერთი მეორეზე აცხადებენ, რომ ისინი სამართლიანობისა და ერთა დამოუკიდებლობის ნიადაგზე მზათ არიან დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას შეუდგენ. ერთი სიტყვით ზავს ყველა ემხრობა.

რუსეთის პროლეტარიატის მძლავრ საზავო ყიჟინას ყველა უერთდება, მაგრამ არც ერთი სახელმწიფოს მთავრობა პრაქტიკულათ არ ფიქრობს თავის ნათქვამის განხორციელებას. პირიქით თვითეული მათგანი მოპირდაპირეთ სწამებს ორპირობას, ფარისევლობას. მსოფლიო დიპლომატები ერთმანეთს მშვიდობიანობის მომხრეობას ეფიცებიან, და იმავე დროს არც ერთს არ სჯერა მოპირდაპირის სიტყვების გულწრფელობა. სიმართლე რომ ვთქვათ, მათ სრული უფლება აქვთ ერთმანეთის არაფერი ირწმუნონ. და ჩვენც უფლება გვაქვს ყოველ მათ ნათქვამს ეჭვის და კრიტიკული თვალით შევხედოთ. ევროპის მეომარ სახელმწიფოთა მთავრობებს—ყველას გამარჯვება და სხვა ერზე გაბატონების სურვილი ასულდგმულებს და რაც უნდა სთქვან, ამ ძირითად მიზანს არ უღალატებენ.

ზავს, მშვიდობიანობას, საერთაშორისო სამართლიანობას და ყველასთვის მისაღებ პირობებს ჰყავს მხოლოდ ერთი მოსარჩლე, ერთი დამცველი—ესაა მუშათა კლასი. და მთავრობის მიერ თავის სიტყვათა ასრულება, მათგან რაიმე სამართლიანობის დაცვა მოსალოდნელია მხოლოდ ამ ძალის ზეგავლენით, მუშათა კლასის ძალდატანებით. რუსეთის დროებითმა მთავრობამ სწორეთ მუშათა საბჭოების მეოხებით აიღო ხელი ანექსიონისტურ განზრახვებზე. ევროპის მთავრობათაც, რომელნიც ევროპის მტაცებლურ ბურჟუაზიის წარმომადგენელი არიან, მხოლოდ ასეთი ძალდატანების მეოხებით შეუძლიათ სამართლიანობაზე თვალის-ასახვევათ ლაპარაკი სინამდვილეთ აქციონ და ცხოვრებაში განახორციელონ.

ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის არა განცხადება, მთავრობის არა მიკიბულ-მოკიბული სიტყვები ფარულ და უპასუხისმგებლო დიპლომატების, რომელთაც ენა იმისთვის აბიათ, რომ თავის ნამდვილი გულის ნადები დაფარონ, არამედ სიტყვა და საქმე ევროპის დემოკრატიის, მუშათა კლასის და მათი პოლიტიკური წარმომადგენლობის.

ამ მხრით, ამჟამად ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ჩვენთვის გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის დადგენილება.

გერმანიაში, როგორც ვიცით, ს. დ. პარტია გაყოფილია. უმცირესობა დიდიხანია ზავს მოითხოვს და მთავრობას სასტიკ ბრძოლას უცხადებს. ამჟამად კი უმრავლესობის წარმომადგენლებიც ასეთსავე გზას დადგენ.

უკანასკნელ დღეებში გერმანიის ს. დ. პარტიის უმრავლესობის კონფერენცია რუსეთის მუშათა და სალდათთა საბჭოს მოწოდების პასუხათ ერთიანათ იღებს მათ რეზოლიუციის მთავარ დებულებებს და სიტყვა-სიტყვით იმეორებს მას, რომ ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან იქნეს აცილებული.

მაგრამ ამასთანავე მეუმრავლესეთა ბელადის შეიდემანის სიტყვებში არის ორი მოსაზრება, რომელზედაც უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

პირველია—უარყოფა სხვა ქვეყნის მუშათათვის უფლების მათ შინაურ საქმეში ჩაერიონ, მათ ესა თუ ის სახელმწიფო ფორმები უკარნახონ. მეორე სურვილი სეპარატიულ ზავის ჩამოგდების, თუ საერთო ზავი არ მოხერხდა. პირველის შესახებ უნდა ითქვას, რომ რუსეთის რევოლიუცია იმდენათ ძლიერი საერთაშორისო ფაქტია, რომ იგი ჩვენ ნება სურვილის გარეშეც შესაფერ გავლენას ახდენს მეზობელ სახელმწიფოთა ცხოვრებაზე და მათ შინაურ ურთიერთობაზე.

რევოლიუციას აქვს თავის კანონი და თავის საკუთარი ლოღიკა. იგი ყველგან და ყოველივეს თავს სახეს და მსგავსად ცვლის, ყველგან თავის ლოზუნგებს აყენებს, სადაც კი მისი ხმა მისწვდება.

რუსეთის რევოლიუციას ამ მხრით ერთათ ერთი ლოზუნგი აქვს ყველა ერისათვის:—„ომი სასახლეებს—მშვიდობა ქოხებს". იგი ამ დროშით ევლინება ევროპას და მის სოციალურ ურთიერთობის ნიადაგზე ამავე ლოზუნგის განხორციელებას მოითხოვს.

ეს არის პირველ ყოვლისა არა ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორე სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში, არა იარაღით ხელში თავზე მოხვევა სხვისთვის იმის, რაც მას არა სწადია, არა, ესაა რევოლიუციის ტალღის ძლევამოსილი მსვლელობა, რომელიც ყოველ ხალხის სულის სიღრმეში პოულობს მის საიდუმლო განზრახვებს, მის წმინდა მისწრაფებებს და ხელს უწყობს მათ ცხოვრებაში განხორციელებას.

იგი არის განხორციელება და შეერთება თავისუფლების და აუცილებლობის; აი სწორეთ ამით არის იგი ძლიერი და არა „ძალმომრეობით".

რუსეთის მუშათა საბჭოების მოწოდებასაც ეს დიდი ძალა აცხოველებს, ეს აძლევს მას უნარს ყველა ქვეყნის მუშებში რევოლიუციური სულისკვეთება გააღვივოს და ბრძოლის ყიჟინა გააძლიეროს. ცხადია, მშრალი თეორეტიული წინააღმდეგობა შეიდემანის ამ შემთხვევაში ნაყოფს ვერ გამოიღებს.

მეორე კითხვაა სეპარატიული ზავის ჩამოგდება. ეს მეტათ რთული საკითხია და მისი ორიოდე სიტყვით გადაჭრა შეუძლებელია. მაზე გარკვეული კონკრეტიული პასუხის მიცემა შეიძლება მხოლოდ კონკრეტიულ პირობებში, რაიც დამოკიდებულია შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მარა ერთი კი შეიძლება ახლავე ითქვას, რუსეთის მუშათა კლასი არ ისახავს მიზნათ სეპარატიულ ზავს. იგი ცდილობს ომი მიილტვის არა მარტო რუსეთის ფრონტზე, არამედ მთელ ევროპაში ცეცხლის ალის ჩაქრობისაკენ. იგი, როგორც ერთი საზომი საერთაშორისო სოციალდემოკრატიის, ამ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებიდან გამოდის, მისი მთავარი მისწრაფება—ეს საერთაშორისო მუშათა კეთილდღეობაა, ინტერნაციონალის იდეათა გამარჯვებაა.

ცხადია, ეს იდეა თხოულობს ომის საყოველთაოთ შეწყვეტას. ან კი შეიძლება განა ცეცხლმოკიდებულ სახლში მხოლოდ ერთ კუთხეში ცეცხლის საიმედოთ ჩაქრობა, თუ დანარჩენი კუთხეები ალშია გახვეული?

განა შეიძლება სეპარატიული შეთანხმებით ევროპის ომი საერთაშორისო მუშათა სურვილისამებრ დამთავრდეს?

პირიქით, ეს იქნება დანარჩენ ადგილებში ომის პრინციპის ე. ი. ძალმომრეობის შედეგების მიღება, დაპყრობა-დამორჩილების ნორმალურ მოვლენათ ცნობა და ასე ახალ სისხლის ღვრისთვის უკეთესი ნიადაგის მომზადება.

ცხადია, ინტერნაციონალური ს.-დემოკრატია ამას მიზნათ ვერ დაისახავს. ზავი საერთო და არა სეპარატიული—აი ჩვენი ლოზუნგი. ჩაქრობა ბრძოლის ალის მთელ ევროპაში—აი ჩვენი ლტოლვის საგანი.

ამ დროშის ქვეშ დაყენება მთელ—ევროპის მუშათა არმიის—აი გზა და ხიდი ამ მიზნის მისაღწევათ.

რუსეთის მუშათა კლასმა უკვე გადადგა ამ მხრივ დიდი ნაბიჯი და შემდეგშიც ამ გზას არ გადაუხვევს.

## სოციალ-დემოკრატია და მოზარდ თაობის შეკავშირება.

მუშათა კლასს თავისუფალი ორგანიზაციის საშუალება მიეცა. გაჰქრა ის სულის შემხუთველი პირობები, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ნება არ ქონდა პარტიული კავშირი, პარტიული ორგანიზაციები მოეწყო და ფართო მასა თვით განვითარების გზაზე დაეყენებია. უკანასკნელი გარემოები კი მას გზებს უჭრიდა, გასაქანს არ აძლევდა ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაბატონებულ კლასისათვის შესაფერი ძალა დაეპირდაპირებინა და თავისი სულიერი და ნივთიერი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. ორგანიზაცია და შეკავშირება მუშათა კლასის განუყრელი თვისებაა, უამისოთ მას არ ძალუძს პროგრესის გზაზე რაიმე ნაბიჯი გადადგას. შეურყეველი ჭეშმარიტებაა კარლ მარქსის სიტყვები, რომ ფიზიკური ძალა ფიზიკური ძალის საშუალებით უნდა დაემხოს, მაგრამ შეგნება-განათლება, კლასობრივი ორგანიზაცია იგივე ფიზიკური ძალაა, უკეთუ იგი ფართო მასის ხელმისაწვდომი გახდებათ.

დიახ—კლასობრივი განვითარება, კლასობრივი ორგანიზაცია სოციალურ უთანასწო-

რობის უძლიერესი მოსასპობი საშუალებაა. ამიტომაც არის განთავისუფლებულ რუსეთში მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელს იმპერიაში მუშათა ორგანიზაცია კავშირების მოწყობას შეუდგა და ამ ნიადაგზე ენერგიულად მუშაობს.

მაგრამ პროლეტარული ზრდა-განვითარება, მისი სამომავლოდ გალონიერება, მისი მომავალში შეუჩერებლივ წინ მსვლელობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ მოახერხებს იგი მუშათა ახალ კადრების, ახალგაზრდების თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებას. ახალგაზრდების თეორიულად და პრაქტიკულად მომზადება პარტიის მომავალ განვითარებისათვის საუკეთესო საშუალებაა. ეს შეურყეველი ჭეშმარიტება შეიგნეს არა მარტო მუშათა პარტიებმა, არამედ ბურჟუაზიულმაც. დასავლეთ ევროპაში ასეთი კავშირებისა და ორგანიზაციების მოწყობა კარგა ხნის ამბავია. იქ ერთმაც და მეორემაც შეადგინეს ახალგაზრდათა ორგანიზაციები და თითეული პოლიტიკური პარტია იმის ცდაშია, თავისი ორგანიზაციებისაკენ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდები მიიზიდონ, მეტი ახალგაზრდობა პარტიულ ცხოვრებაში ჩააბან. ჩვენ ვიცით, რომ გერმანია-ავსტრიაში, აგრეთვე ზოგიერთა ევროპიულ სახელმწიფოებში არსებობს სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდათა პარტიული ორგანიზაცია; არსებობს აგრეთვე ლიბერალური თუ კათოლიკური მოზარდთაობის კავშირები და სხვა.

ახალგაზრდა მუშათა სოციალისტური ორგანიზაციები სწრაფად იზრდება, თან და-თან ფართო სამოქმედო ასპარეზს პოულობს. იქ საცა მძვილმა კაპიტალისტურმა წარმოების წესმა, ბურჟუაზიული ცხოვრების განვითარებამ მაღალ საფეხურს მიაღწია—ახალგაზრდა მუშათა ორგანიზაციები დიდი სისწრაფით იზდება და მათ შორის სოციალდემოკრატიულ მოძღვრების გავრცელება საუკეთესო ნიადაგს პოულობს. ამის საუკეთესო მაგალითს გერმანია წარმოადგენს. იქ სოციალდემოკრატიული ახალგაზრდათა ორგანიზაცია თვალსაჩინოთ გაძლიერდა და სოციალდემოკრატიული მოძრაობის გაღრმავების საქმეში დიდ როლს თამაშობს. აქ გზა და საშუალება ყველა ქვეყნის სოციალდემოკრატებისათვის ერთია: ახალგაზრდების სოციალდემოკრატიულ მარქსისტულ შეხედულებით აღზრდა და მარქსისტულათ გათვითცნობიერება.

სოციალდემოკრატიულმა პარტიამ მიზნათ უნდა დაისახოს მთელი ახალგაზრდობა ორგანიზაციულათ შეაკავშიროს, მათ სისტემატიური ლექციებით, სხვადასხვა კურსების და დისკუსიების ცეოხებით მარქსის ძირითადი მცნებები, მარქსის ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი გააცნოს და ამ გზით კლასობრივათ გაათვითცნობიეროს.

გარდა ამისა საჭიროა მათი ფიზიკურათ და ზნეობრივათ განვითარება. სოციალდემოკრატიული პარტია ყოველ ღონეს უნდა ხმარობდეს ახალგაზრდა ქალი და ვაჟები იდეურ, პარტიულ ნიადაგზე ერთმანეთს დაუკავშიროს; და მით ჩამოაშოროს ქუჩური და პორნოგრაფიული ლიტერატურის გამრყვნელ გავლენას. ამასთან ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდათა ფიზიკურ განვითარებას, რომელიც გიმნასტიკური ვარჯიშობით, სპორტით და სხვა და სხვა გასართობ თამაშობის მეოხებით ხდება.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა მუშათა ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ სოციალდემოკრატიული პარტიის ხელში უნდა იყოს. ასეთი ორგანიზაციული წინაწარი მუშაობა ერთგვარი ბრძოლის სასწავლებელია საიდანაც ენერგიული და თავგანწირული მებრძოლნი გამოვლენ და მუშათა კლასს ახალი მუშაკები მიემატებიან. ახალგაზრდების ორგანიზაცია წარმოადგენს იმ სათადარიგო რაზმს, საიდანაც მუშათა მოძრაობას დაუშრეტელი მეომრები შეემატება.

თუ ძველ გამოცდილ, ბრძოლაში გამოწრთობილ მუშებს შეაქვს მოძრაობაში სიდინჯე და გონიერება, შორსმჭვრეტელობა და გამჭრიახობა, სამაგიეროთ ახალგაზრდობის თვისებაა—თავდადებული გატაცება, ახალგაზრდული ენტუზიაზმი, რევოლიუციური მღელვარება და ბრძოლის დაუშრეტელი წყურვილი. ისინი სიცოცხლის მჩქეფარე ნაკადულებია და განახლების შემომტანი როგორც პარტიულ, ისე კლასობრივ-რევოლიუციურ მოძრაობაში. ამიტომ მათი პარტიაში შემოერთება დიდეთ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

რუსეთში ასეთი ორგანიზაციები მოსწავლე ახალგაზრდათა შორის არსებობდა, მაგრამ იგი რეაქციის სუსხის გამო სწრაფათ იშლებოდა და ინგრეოდა. ახლა კი რუსეთის პროლეტარიატსაც საშუალება მიეცა ახალგაზრდათა პარტიული ორგანიზაციები შეადგინოს, პარტიულათ დაწვრთნას. დრო არ ცდის. ახლა პარტიის მოვალეობას შეადგენს ახალგაზრდობა შეაკავშიროს და ისინი სოციალდემოკრატიული პარტიის მებრძოლ რაზმებათ გამოიყენოს. მაშ ახალგაზრდებო ორგანიზაციებისაკენ.

## პრესა.

კონტრრევოლიუციონერთა ბნელი ნაბიჯები და თავხედური გამბედაობა ხომ ცნობილია, რასაც მოწმობს, თუნდაც, ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული ამბავი ქუთაისიდან გადაცემულ სალდათის შესახებ. ახელეთის მოციქულების ბრძოლის იარაღი თითქმის ყველგან ერთნაირია; აი რას გადმოგვცემს მოსკოვის სოციალდემოკრატიული ორგანო „ვპერიოდი“:

„ამხანაგებო სალდათებო! მუშებს არ უნდათ თავდაცვის საქმეზე მუშაობა, სურთ დაგვტოვონ უიარაღოთ და თხოულობენ 8 საათის სამუშაო დღეს, მაშინ, როცა ჩვენ სანგრებში 24 საათს ვშრომობთ დღე და ღამ!.. ძირს მუშები! მე მინდა სალდათი ვიყო!“ ასე ამბობდა პუშკინის ძეგლთან ენაწყლიანი ორატორი, რომელმაც სიტყვის დასრულებისას სტაცა ხელი იქვე მდგომ სალდათს და შესძახა: მომეცი მე შენი მაზარა, ამხანაგო! ხომ შეიძლებოდა სალდათს მიეცა მაზარა და მეორე დღეს ბურჟუაზიული გაზეთები ერთი ზეიმით მოუწოდებდენ სალდათებს: ჰკუა ასწავლეთ იმ მოღალატე მუშებსო? მაგრამ იქვე მდგომი მილიციონერი დაინტერესდა გაეგო ვინაობა ამ შეუდარებელი პატრიოტის და აღმოჩნდა, რომ ეს არის მოსკოვში კარგათ ცნობილი პოგრომშჩიკი შანტაჟისტი და დამცველი განყოფილების წევრი შიპატოვსკი. ამნაირათ მაზარა პატრონს დარჩა, ხოლო შიპატოვსკი მიაბძანეს იქ, სადაც დანარჩენი მისი ამხანაგები „ისვენებენ“. სამწუხაროთ ყოველთვის ასე სასიამოვნოთ არ ბოლოვდება საქმე... ამას წინათ ბურჟუაზიულმა გაზეთებმა ერთი განგაში ასტეხა და ამცნო ქვეყანას ჩინიზელის ცირკში სალდათების მიტინგზე 30 მარტს მიღებული რეზოლიუცია, რომლის შინაარსი გმობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. გამოირკვა, რომ ვიღაცამ მართლაც წარადგინა მსგავსი რეზოლიუცია, მაგრამ როცა ჟუტეინმა, გაიპარა და კრებამ მიიღო სრულიად წინაღმდეგი შინაარსის რეზოლიუცია. ხალხოს კი ქუჩებში მიტინგის სახელით უარყოფილი რეზოლიუცია იყო გავრცელებული. ასეთი ფაქტები მრავალია, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მაგალითი უფრო აშკარათ მოწმობს იმას, რომ ბ-ნთ შიპატოვსკების ხრიკები მუშების და ჯარისკაცების გადასამტერებლათაა გამოგონილი. მოიგონიეთ პეტროგრადის გვარდიის სათადარიგო ბათალიონის მისვლა პუტილოვის ქარხანაში და მუშებისადმი მიმართული მუქარა. ბურჟუაზიული პრესის ერთმა ნაწილმა რამოდენიმე დღის განმავლობაში ლეჰა ეს ამბავი და თავისებური დასკვნებიც გამოიტანა. ეხლა კი როგორც სალდათები ისე ბატალიონის ოფიცრები შემდეგი წერილით მიმართავენ მოსკოვის გაზეთს: „ღრმათ აღშფოთებული ვართ იმ ბრალდების გამო, თითქოს ამხანაგ მუშების წინააღმდეგ გაგველაშქროს, საჭიროთ ვთვლით პროტესტი განვაცხადოთ ამგვარი ინსინუაციის გამო, არასოდეს არავითარი განცხადებით და მუქარით ჩვენი ბატალიონის არც ნაწილს და არც მთელს არც პუტილოვის და არც სხვა რომელიმე ქარხნის მუშებისათვის არ მიუმართავს, საზოგადოთ ვაცხადებთ, რომ არც არავისთვის მსგავსი რამ არ დაგვიალებია; ბატალიონის კომიტეტმა დაადგინა პროვოკაციული შენიშვნის ავტორი კანონიერ პასუხისგებაში მისცეს“.

აკი მოგახსენეთ—კონტრ-რევოლიუციონერები ერთმანეთს გვანან მეთქი, მაგრამ მუშათა კლასი და რევოლიუციური ჯარი არავის შეარჩენს პროვოკაციას!

* *
*

ქუთაისში ს. დ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გამოდის მუშათა გაზეთი: „სოციალდემოკრატი“; რომლის სამაისო ნომერში მუშა, ექვთიმე სართანია სხვათა შორის სწერს თავის მოგონებას მაისობის პირველ დღესასწაულობის შესახებ ჩვენში:

„ჩვენში ეს დღე პირველათ იდღესასწაულეს კარგათ მოზდილმა ჯგუფმა, ინტერნაციონალურ ოჯახის წევრებმა თფილისში ათას რვაას ოთხმოცდა ცხრამეტ წ. 18 აპრილს, ღამით ნაძალადევში, სადაც დღეს არის 1905 წ. დეკემბრის მსხვერპლთა ძმური სასაფლაო, იმის გადაღმა. ამხანაგების აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა, ეფიცებოდენ ერთი მეორეს დიადი საქმისთვის თავდადებას. იქ გადაწყდა ყოველ წლიწადს აშკარათ გამოსვლა სადღესასწაულოთ. ამავე ამხანაგების მეთაურობით მოხდა პირველი მაისის დღესასწაულის გამართვა 1901 წ. თფილისში სალდათების ბაზარზე, სადაც ახსნეს პირველი მაისის მნიშვნელობა და წითელი დროშა აფრიალეს, აქ მოხდა პირველათ შეიარაღებული მუშების და პოლიციელების ხელჩართული ბრძოლა. ბევრი პოლიციელნი დაცილდენ თავ სისხლიანი და ხმალ გადატეხილნი. რამდენიმე ათეული ჩვენი ამხანაგებისა დასახიჩრებულნი ციხეებში ჩააწყვდიეს და ციმბირისაკენ გაამგზავრეს. სწორედ ამ დღიდან ეკრძალებათ მცხოვრებლებს იარაღის ტარება; სამაგიეროდ საუცხოვოდ იარაღდებიან პოლიციელნი და ჟანდარმერია“.

ამ დღიდან იწყება ამასთანავე შეიარაღება მუშა კლასის კლასობრივი შეგნებით და რევოლიუციური გამოცდილებით, რამაც ასეთი დიდებული ნაყოფი მოიტანა.

## პირველი მაისი რუსეთში.

**პეტროგრადი.** 18 აპრ. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს უთვალავი ცნობები მოდის იმპერიის სხვა და სხვა ადგილებიდან 1 მაისის დღესასწაულის გრანდიოზულათ ჩატარების შესახებ. დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდენ ცხოვრებლებთან ერთად ჯარი, მოსწავლენი, პოლიტიკური, ნაციონალური, საზოგადოებრივი და მუშათა ორგანიზაციები, აგრეთვე გლეხობაცა და სამხედრო ტყვეები. სულიერი განწყობილება ყველგან ლტაცებული იყო, წესრიგი სამაგალითო. მუსიკა, სიმღერები, წითელი დროშები ზედ წარწერებით: „დაცვა თავისუფლებისა“. სეპარატიულ ზავზე სიტყვები არ წარმოთქმულა, ომის საწინააღმდეგოთ მოლაპარაკეთ ცვად ხედებოდენ.

თითონ სატახტო ქალაქში დღესასწაულს 23 მარტის—რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვის დღესთან შედარებით არ ჰქონდა მაინცა და მაინც დიდათ აღმაფრთოვანებელი ხასიათი. ერთგვარი სიმძიმის სახიები ჩ ნ-და, მოუთრავნათ სიტყვები გაისმოდა. საერთოთ მხიარულობას ხილს უშლიდა იმის შიში, რომ რევოლიუციონერ დემოკრატიის შორის, რომლის უდიდესი ნაწილი თავს იყრის რუსეთის თავისუფლების დაცვის გარშემო, განხეთქილობა არ მოუხდარიყო ლენინის მიმდევართა მცირე ჯგუფთან. ლენინის ლოზუნგებს ცივათ ეგებებოდენ, ხოლ შემთხვევაში მტრულ განწყობილებასაც გამოხატავდენ. ორატორთა უმრავლესობა თავიანთ სიტყვებს ლენინის აზრების კრიტიკით ათავებდა. ლენინელთა გამოსვლას მტრულად ხვდებოდენ; გაისმოდა „ძირს“. აქეთ-იქით პლაკატებზედაც ეწერა: „ძირს ლენინი“-ო. გარდა ლენინისა, სხვა ორატორებისთვის სიტყვათა ტიმას შიადენდა ორი, პროლეტარულ დღესასწაულის მნიშვნელობა, დროებითი მთავრობის მხარის დაჭერა, მუშათა დეპუტატების საბჭო, დამფუძნებელი კრება. ღამით 6 საათზე მოედანზე მოაწყო 300 ტრიბუნა, რომელთა რიგის ასრულებდა საქონლის ავტომობილები. ბევრი ტრიბუნა იყო მარსის მოედანზე, ახლა რევოლიუციის მოედნათ წოდებულზე. იქაურობა ვეებერთელა პლაკატებით იყო მორთული, შესაფერის ზედწარწერებით; საფლავები ყვავილებით და გვირგვინებით შეამკეს. დილა ადრიან ქარხნებიდან და ზავოდებიდან დროშებით და ორკესტრებით რაიონულ პუნქტებისკენ დაიძრა უთვალავი ხალხი. 8 საათზე პროცესიამ მიაშურა დანიშნულ ადგილებს. მანიფესტანტების დიდი უმეტესობა შეიკრიბა მარსის მოედანზე რევოლიუციაში დახოცილთა ხსოვნის პატივსაცემათ. ბევრი ხალხი იყო აგრეთვე სასახლის მოედანზე, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს პლეხანოვმა, ლენინმა და სხვ. საზამთრო სასახლის წინ. სწორეთ იმ ბალკონზე, საიდანაც 1914 წლის 19 ივლისს ნიკოლოზ მე-II ომი გამოუცხადა ავსტრიას, აღმართული იყო ვეებერთელა პლაკატი ზედ წარწერით: „გაუმარჯოს ინტერნაციონალს“. ქუჩანტელს მოედანზე მგზნელი იყო მოწაფეთა ომის გამო გარდაცვლილთა შვილებისა და მუშათა ბავშვების პროცესიები. პირველად დროშებზე ეწერა: „გაუმარჯოს ჟუფასო სწავლას“, მეორეთა—„მოგვეცით საშუალება შინ დავრჩეთ“, მესამეთ—„დაიცავით ბავშთა შრომა“. სხვადასხვა სოციალისტების პარტიების ორატორები აქეთ-იქით მიმოქროლავდენ სიტყვების წარმოსათქმელად. მათ შორის იყვნენ პლეხანოვი, ლენინი, ჩერნოვი, ჩხეიძე, სკობელევი, სოკოლოვი, კერენსკი. ქალ ქის სხვა და სხვა კუთხეებში წამდაუწუმ იმართებოდა სახელდახელო მიტინგები. დიდმა ორგანიზაციებმა მიტინგი გამართეს სხვადასხვა შენობებში. პოთოხოვზე გაიმართა 40 ათასი კაცის მიტინგი. ილაპარაკეს ლენინმა, ჩერნოვმა, ავსენტიევმა, ლიბერმა. ჩანიზელის ცირკში შედგა კონც.-მიტინგი სახაზინო თეატრის არტისტთა მონაწილეობით, გამოვიდა კერენსკი, რომელმაც მოუწოდა სოციალისტურ პარტიებს შეერთებისაკენ. ილაპარაკა ჩხეიძემაც. მათმა გამოსვლამ აუწერელი აღტაცება გამოიწვია. სალამოს მწუხრამდე არ შეწყვეტილა ხალხის დენა. არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა.

კრონშტადტში, ნიჟნი-ნოვგოროდში, მინსკში, ვიატკაში, კარჩევაში, სიმფეროპოლში, ფეოდოსიაში, ჟიტომირში, პოლტავაში, ვორონეჟში, ცარიცინში, ვიაზნიკოვში, ბლაგოვეშჩენსკში, ბიისკში და სხვა მრავალ ქალაქებში პირველი მაისის დღესასწაული დიდებულათ ჩაუტარებიათ. კრონშტადტში—საზღვაო ტაძრის მოედანზე დიდი მიტინგი გაიმართა. მინსკში დიდი მანიფესტაცია მოახდინეს, რომელშიაც ჯარებმაც მიიღეს მონაწილეობა. ცარიცინში პირველ მაისის დღესასწაულში ტყვე ჩეხებმა და სლოვაკებმაც მიიღეს მონაწილეობა. სოხუმში ჯარისკაცთა ერთმა ჯგუფმა ციხიდან რუმინიის სოციალდემოკრატების ლიდერი რაკოვსკი გაანთავისუფლეს და იგი მიტინგზე მოიყვანეს. უკანასკნელმა რუსულსა და რუმინულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა. თავის სიტყვაში მოკლეთ აღნიშნა, თუ მან რაგვარი მონაწილეობა მიიღო 1905 წ. რუსეთის რევოლიუციაში. დაბოლოს რაკოვსკიმ ბალკანეთის ერების ფედერატიული კავშირი მოითხოვა.

დიდი მანიფესტაციები მოხდა ქ. მოსკოვში. მანიფესტაციაში მონაწილეობას ღებულობდა ცხოვილი ქალი ბრეშკო-ბრეშკოვსკაია და კატორღელი მოროზოვი.

ასეთივე მიტინგები მომხდარა სიმბირსკში, რეველში, ნოვოჩერკასკში, სარატოვში და სევასტოპოლში.

## დეპეშები.

(პ. დ. ს. 17—18 აპრ.)

**ლენინის ახსნა-განმარტებანი.**

**პეტროგრადი.** 17 აპრ. დღეს ლენინმა თავისი ახსნა-განმარტებანი წარმოსთქვა სალდათთა დეპუტატების საბჭოში იმ დადგენილების გამო, რომელშიაც ლენინის პროპაგანდა მონათლულია კონტრ-რევოლიუციონურათ. საბჭომ მოისმინა ლენინის სიტყვა, მაგრამ ვერ სცნო საჭიროდ უკვე გამოტანილი რეზოლიუციის შეცვლა და მორიგ კითხვებზე გადავიდა.

**სტაროობრიადცები და ეკლესია.**

**მოსკოვი.** 17 აპრ. სტაროობრიადცების ყრილობამ რეზოლიუციით მოითხოვა ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება.

**ნაციონალიზმი ჯარში.**

**კიევი.** 17 აპრ. 3 ათასმა უკრაინელმა სალდათმა კატეგორიულათ განაცხადა, რომ ისინი იბრძოლებენ მხოლოდ საკუთარი დროშით, ამ დადგენილების მხარის დასაჭერათ კიდეც გამოგზავნეს თავიანთი დელეგატები ადმ. კომიტეტში, რომელმაც ვერ შესძლო ცალკე უკრაინელთა პოლკის დაარსება და დაადგინა რეზოლიუციის გამომტანნი საერთო წესით დააბრუნონ თავიანთ ნაწილებში.

**უკრაინელთა ყრილობა.**

**ხარკოვი.** 17 აპრ. გაიხსნა პირველი საგუბერნიო ყრილობა უკრაინ. ეროვნ. ჯარის განსახორციელებლათ, ქალთა ორგანიზაციების შესაქმნელათ და მართვა-გამგეობის უკრაინოთა მოსაწყობათ. გადასწყვიტეს ნიკოლოზ მეორის სურათის მაგიერ სოფლიებს ყველა სამმართველოებში ჩამოკიდონ შევჩენკოს სურათი.

**პროვოკატორები.**

**პეტროგრადი.** რილეიევის კუნძულზე პოლიტიკურ მანიფესტანტებს უცნობმა პირებმა სროლა აუტეხის და ყუმბარები ესროლეს, პროვოკატორებმა თავიანთ თავს აღმასრ. კომიტეტის აგენტები უწოდეს. დაატყვევეს მემამულე ლადოჟენსკი, რამდენიმე აფიცერს პაგონები ააგლიჯეს.

**გლეხთა ყრილობა.**

**პოლტავა.** 18 აპრილი. პოლტავის გუბერნიის გლეხთა ყრილობა დასრულდა. აქ მათ რეზოლიუცია გამოიტანეს, რომელშიაც ისინი დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკას და ყველა ერების ფართო ავტონომიურ მართვა-გამგეობას მოითხოვენ. ამასთან ისინი ხაზგასმულათ აღნიშნავენ, რომ დროებითი მთავრობას მხარს დაუჭერენ, უკეთუ უკანასკნელი მშრომელი კლასების ინტერესებს ბოლომდის დაიცავს; დაუფლებელი მიწები და ტყეები ხალხს უნდა გადაეცეს.

**ჯარისკაცების მიწების დამუშავება.**

**ბელოზერსკი.** 15 აპრილი. სემინოვის საზოგადოების გლეხებმა თავიანთ მიტინგზე ერთხმათ დაადგინეს ჯარისკაცთა დარჩენილი მიწები უფასოთ დაამუშაონ.

**დროებითი მთავრობის დადგენილება კრებისა და კავშირების შესახებ.**

**პეტროგრადი** 19 აპრილი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: რუსეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს განსაკუთრებულ ნებადაურთველათ კრების გამართვა, როგორც დახურულ შენობაში, ისე ცის ქვეშ და აგრეთვი კავშირების შეკვრის.

**პეტროგრადი.** 18 აპრ. აღნიშნა რა გუშინ მომხდარი სამწუხარო მოვლენები, (ბომბის სროლა მანიფესტანტებისათვის) სალდათთა და მუშათა საბჭოებმა შემდეგი მიმართვა გამოუშვეს მოქალაქეთადმი: „ვინაა დაინტერესებული იმაში, რომ მუშათა დღესასწაულის წინ მცხოვრებთა შორის გაავრცელოს ამღელვებელი ხმები? ეს შეუძლიათ მხოლოდ შეშლილებს ან და თავისუფლების მტერთ, რომელთა მოქმედებით სახელი უტყდება რევოლიუციას და უდიდესი საფრთხე მოელის სახალხო საქმეს. აღმასრულებელი კომიტეტი სასტიკად გმობს ამგვარ მოქმედებას, რაც ლუპავს რევოლიუციის საქმეს. მოქალაქენო, მიიღეთ ყოველივე ზომა, რომ ასეთი რამ არ განმეორდეს. იცოდეთ, რომ ასეთი მოქმედება ხელს უწყობს ანარქიას, დეზორგანიზაცია შეაქვს საერთო ძალებში და ემსახურება რევოლიუციის მტრების სურვილს.

## ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 19 აპრილი. აღმოსავლეთის ასპარეზზე, როგატინის მიმართულებით, მეჩიშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა საარტილერიო სროლა გააჩაღა, განსაკუთრებით მძიმე ზარბაზნები აამოქმედა. დანარჩენ ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

**კავკასიის ფრონტზე,** გიუმიშხანის სამხრეთ-დასავლეთით ოსმალთა იერიშები მოვიგერიეთ. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე ოგნოტის ჩრდილო-დასავლეთით.

შავ-ზღვაში, ბოსფორის რაიონში ჩვენმა წყალქვეშა ნავმა მტრის დიდი იალქნიანი გემი ჩასძირა, რომლის წყალწყვა 1.000 ტონას უდრიდა.

ოსმალთა მფრინავებმა ქ. ტრაპიზონში 20 მეტი ყუმბარა ჩამოაგდეს.

**პარიზი.** 18 აპრილი. უაზის სამხრეთით გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. შემენ-დე-დამის მთაგორიან ადგილებში საარტილერიო სროლა სწარმოებს.

**პარიზი.** 19 აპრილი. შემენ დე-დამის რაიონში ორივე მხარე ერთმანეთს ზარბაზნის ყუმბარებს უშენენ. სერნი ფურტებიზ-კრონის ფრონტზე გერმანელებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს, მაგრამ ჩვენ მათი იერიშები მოვიგერიეთ. შამპანში, კორნილეს მიდამოებში არაჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. ეპარჟის მტრის სანგრები დავაზიანეთ. ლოტარინგიაში ჩვენმა ჰაეროპლანებმა მოქმედება განაცხოველეს.

**ლონდონი.** 18 აპრილი. საფრანგეთის ფრონტზე, მონშის-ლე-პრეს რაიონში გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენმა ჰაეროპლანებმა გერმანელების ჯარის ზურგს უკან მდებარე პოზიციებში ყუმბარები ჩაყარეს და იქ ათითქმიბი მოახდინეს. ამ ბრძოლის დროს ჩვენი 15 ჰაეროპლანი დაიღუპა.

**ლონდონი.** 17 აპრილი. ინგლისის მთავრობა ოფიციალურათ იუწყება: მესოპოტამიაში ინგლისის მე-18 კორპუსმა 5—9 აპრილამდის მტრის 4.000 ჯარისკაცი ტყვეთ წამოიყვანა.

**რომი.** 17 აპრილი. კამონიკოს ველზე, ტონალეს უღელტეხილთან ავსტრიელები ჩვენ წინა პოზიციებში შემოიჭრენ და სანგრების პირველი წყება დაიკავეს. პიერნო ალიოსადლითით მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან. გორიციასა და კარსოს რაიონებში შეტაკებები გახშირდა. იზონცოს ქვემო ნაწილებში მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს. სამაგიეროთ ჩვენმა მფრინავებმაც ტრიესტში მდებარე დაბა-ქალაქებს ყუმბარები დაუშინეს.

## 1 მაისი პროვინციაში.

**ნოე ჟორდანიას, თფილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს.** მრავალრიცხოვანი მიტინგი გორის ამხანაგებისა და მოქალაქეთა სალამს გიძღვნის თქვენ მუშათა კლასის ინტერესების ერთგულ დამცველს და თავდადებულ დარაჯს, გილოცავთ რა საერთაშორისო პროლეტარიატისას ბრწყინვალე დღესასწაულს. იმედს გამოვსთქვამთ, რომ რუსეთის მუშათა კლასი სხვა ქვეყნების მუშებთან ერთად შეძლებს ბოლო მოუღოს უმაგალითო სისხლის ღვრას და აღადგინოს დაშლილი ინტერნაციონალი, რითაც გზა გაიხსნება ბრწყინვალე მომავლის სოციალიზმისკენ.

ჩვენ მოვითხოვთ ახალი მთავრობისაგან დაუყონებლივ გამოცემულ იქნას დეკრეტი 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ და დაჩქარებით იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა დაამყაროს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა.

მონდობილობით ვანო ქარცივაძე.

—

## დეპეშები.

**ქუთაისი.** პირველ მაისს გაიმართა გრანდიოზული მიტინგი; ილაპარაკეს ყველა ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებმა. საერთო ლოზუნგი იყო ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, 8 საათის სამუშაო დღე, სოციალიზმი.

მიტინგის თავმჯ. ევგენი გეგეჭკორი.

## † რაჟდენ (მოსე) ნინიძე.

დეპეშამ სამწუხარო ამბავი გვაცნობა. 19 აპრილს დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ პიატიგორსკში გარდაიცვალა ამხანაგი მოსე ნინიძე. ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო, რადგან ულმობელმა—ჭლექმა იგი დიდი ხანია შეიპყრო და ლოგინათ ჩააგდო, მარა ეს ცნობა ჩვენთვის მაინც თავზარდამცემია, რადგან ხელიდან გამოგვეცალა პრაქტიკულათ და თეორიულათ მომზადებული თავდადებული სოც.-დემოკრატი მუშაკი. კავკასიის მუშები და დემოკრატია მოსეს კარგათ იცნობს. იცნობს მას განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობა და თფილისის მუშები.

მოსე იმ ჯგუფთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ჩვენ დემოკრატიის მოძრაობის ფრთხულში თავიდან ჩაება და მისი ახლო მესაიდუმლე გახდა. 1904 წ. მოსემ მასწავლებლობას თავი გაანება და თავდავიწყებით სოც.-დემ. პრაქტიკულ მუშაობაში ჩაება. პირველ ხანებში უმთავრესათ მუშაობდა სამტრედიის რაიონში, ხოლო როდესაც დევნა დაუწყეს შემდეგ გადმოსახლდა თფილისში და აქ განაგრძო მუშათა კლასის სამსახური. თფილისში იგი ჩვენი გაზეთების ახლო თანამშრომელი შეიქნა.

გარდა ამისა თარგმნიდა და აწვდიდა ჩვენს მდაბიო მკითხველს ცნობილ სოც.-დემოკრ. თეორეტიკოსების წიგნაკებსა და წერილებს. მტრის თვალს შეუმჩნევლათ მოსე არც კი გადაურჩა. მთავრობა სასტიკათ სდევნიდა ჩვენს გაზეთს და მის გარშემო შემოკრებილ მუშაკებს. მალე მოსე იძულებული შეიქმნა დაეტოვებია თფილისი. აქედან მოსემ მოსკოვს მიაშურა. იქ ის უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში შევიდა და თეორიულ მომზადებას მიყო ხელი. უსახსრობა მას ხელს უშლიდა მთელი თავისი დრო მეცადინეობისთვის მოეხმარებია. მას ერთსა და იმავე დროს უხდებოდა ლუკმა პურისათვის და ცოლშვილზე ზრუნვა. მიუხედავათ ამისა სწავლა დაასრულა და შესაფერისი ცოდნა შეიძინა.

არც სწავლის დროს და არც შემდეგ ერთი წუთითაც არ დაუვიწყია საზოგადო საქმე, მუშათა კლასის იდეალები. როგორც სტუდენტობაში, ისე გარეშე საზოგადოებაში მას დიდი გავლენა ქონდა, რადგან საზოგადო მაჯის ცემას ყოველთვის ეხმაურებოდა და აქ შორდებოდა.

ბოლო დროს მოსეს განზრახვა ქონდა სამუდამოთ დაბინავებულიყო თფილისში და აქ განეგრძო მუშათა კლასის სამსახური. ყოველ ჩვენს შეკითხვაზე იგი გვიპასუხებდა: აი მალე მოვრჩები, ჩამოვალ და გამუდმებით ვიმუშავებო. ჩვენც ამხანაგები, ვცოდით რა მოსეს დაულალავი ენერგია, მკვირცხლი ნიჭი, მის ჩამოსვლას აღტაცებით მოველოდით. მარა ულმობელმა სენმა არ დააცალა და ხელიდან გამოგვტაცა სწორეთ ისეთ დროს

როდესაც ყველაზე უფრო ვსაჭიროებდით იმის ნიჭსა და ძალას.

ამხანაგო მოსე! შენ არ დაგცალდა ამ საერთო გამარჯვების დღესასწაულში შენ ამხანაგებთან ერთათ მონაწილეობა მიგეღო. შენს ახლო ამხანაგებს ეს კიდევ უფრო აღონებს. მარა მუშათა კლასი ერთ წუთსაც არ დაივიწყებს, რომ დემოკრატიის გამარჯვების საქმეში შენ დიდი წვლილი გიდევს.

## ახალი ამბები

**მუშათა დეპუტატების** საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შაბათს, 22 აპრილს, საღამოს 6 საათზე, არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო შენობაში იწვევს სიეზდზე მოსულ კავკასიის არმიის დელეგატების და მუშათა საბჭოს შეერთებულ კრებას.

✦ **თფილისში** ჩამოვიდა კადეტთა პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი ა. კ. ჯივილეგოვი, რომელიც წაიკითხავს ერთ ლექციას: „ახალი რუსეთის განთიადზე", ლექცია გაიმართება 23 აპრილს, საღამოს 8 საათზე ქალთა მეორე გიმნაზიის შენობაში.

✦ 29 აპრილს თფილისში მოწვეულია ამიერ კავკასიის კადეტთა პარტიის სიეზდი. მიპატიჟების ბარათები უკვე გაიგზავნა.

✦ **„ერთობის"** № 25 ცნობა იყო მოთავსებული, რომ იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ხაშმის სარაიონო აღმ. კომიტეტმა ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. მონასტრის ახალი არქიმანდრიტის ნაზარის ცნობით სიყალბის ჩამდენი და მონასტრის ქონების მიმთვისებელი ყოფილა ყოფილი ხაზინადარი მღვდელ-მონაზონი გერმოგენი, რომელიც სამართალშია მიცემული ახალი მთავრობისაგან.

✦ **ფოთი.** ნახოტოურის რაიონს გადაწყვეტილი აქვს იყიდოს წისქვილის მანქანა. თუ ვინმეს აქვს ასეთი, სთხოვენ მიმართონ შემდეგის ადრესით: ფოთი, კოოპერატივი „ეკონომია", ფირან პაჭაძეს.

✦ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი გურიაში გზავნის ბეითალ ავთ. კვიტაიშვილს საქონლის ჭირის მოსასპობლათ. ზემოხსენებული კომიტეტი მოუწოდებს გურიის მცხოვრებთ და დაწესებულებებს, რომ მას ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ.

✦ 15 აპრილს შესდგა მეხუთე უბნის სასურსათო კომიტეტის სხდომა. აირჩიეს თანამდებობის პირნი. შემდეგი სხდომა დანიშნულია დღეს 21 აპრილს, დღის 3 საათზე.

✦ თფილისის მე-9 უბანმა აირჩია სარაიონო საბჭო, რომლის ხელში გადადის რაიონის ადგილობრივი საქმეთა მოწესრიგება. აირჩიეს 25 წევრი.

✦ **ქუთაისის ჯარისკაცთა** აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა რა წესდების გეგმა სამხედრო ორგანიზაციის ქუთაისის რაიონისა, კომიტეტმა გეგმაში შეიტანა საერთო შესწორებები და შენიშვნები და დაადგინა: შეავსონ კომისია, რომელსაც ევალება წესდების დამუშავება შემდეგი პირებით: გრ. ურატაძე, გაფრინდაშვილი და ხახინოვით და დაევალოთ გადამუშავონ წესდება, თანახმათ შეტანილ შენიშვნებისა და წარმოადგინონ კომიტეტის სხდომაზე 19 აპრილს.

✦ **ოზურგეთი.** 13 აპრილს საღამოს გაიმართა ფედერალისტების ჯგუფის კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნ ვ. ხუნდაძე. ჯგუფს მათთან მიეწვიათ ს. რევოლიუციონერების ზოგიერთი წევრები იმ მიზნით, რომ მოელაპარაკნათ საერთო შეთანხმებულათ გამოსვლების შესახებ. როგორც გამოირკვა ყველა მიწვეული სოც.-რევოლიუციონერების წევრებმა ფედერალისტების ჯგუფის კრებაზე დასწრება არა სასურველათ აღიარეს და დემონსტრატიულათ დასტოვეს კრება.

✦ **დაბლა მაღლაკი.** სოფ. მიწაწითელის მღვდელი იასონ ქორქოლიანი მაღლაკის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით დააპატიმრეს და ქუთაისში მაზრის კომისარს წარუდგინეს. მღვდელი თურმე ხალხში პროვოკაციას ეწეოდა. როგორც ამბობენ ამ მღვდელს კიდევ ორი ძმა მღვდელი ყოლია და ორივენი პროვოკაციას ეწევიან ხალხში, რომელთა წინააღმდეგ ზომებია მიღებული.

✦ **ქუთაისის საურთიერთო ბანკის კრებამ** დირექტორათ ისევ კემულარია აირჩია. ამავე კრებამ გადაწყვიტა მოგებიდან 6,000 მან. გადიდვას სამივე პარტიის სასარგებლოთ, ს. დ. ს. ფ. ნ. დ. და 1000 მან. საქარ. ავტოკეფალიის სასარგებლოდ.

---

**22 აპრილი მუშათა პრესის დღეა.**

**ამხანაგებო! ემზადეთ ამ დღეს თქვენი საკუთარი ორგანოს დასახმარებლად. თქვენი წვლილი საფუძველია მისი არსებობის**

**დაეხმარეთ პარტიულ ორგანოებს ქართულ „ერთობას" და სომხურ „ფაიქარს", რომელნიც ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით გამოდიან.**

---

### მიტინგზე.

სუ... სუ!.. ხალხო, მოისმინეთ!.. ჰა, დეპეშა სულ ახალი:
„აღარ არის ის ვინც იყო,
დატრიალდა გარს გრიგალი"...

. . . . . . . . . . .

ნუ გუგუნებთ, მოისმინეთ, მე ვკითხულობ კვლავ დეპეშას,
დაუკელით ტაშის ცემას და სიამით ამოხვნეშას!..
„ბორკილები მიმოიმსხვრა,
შეანგრიეს ციხის კარი!..
შავ ჯურღმულში გაიელვა...
ჰა, ცისკარი... ჰა, ცისკარი!.."

. . . . . . . . . . .

ხალხო, კმარა, კმარა გრგვინვა, ტალღამ ძლიერ იგუგუნა!..
ნუ ღელავხართ, თორემ ფეხქვეშ წამექცევა ეს ტრიბუნა!..
მაშ სიწყნარე, ყურის გდება, მე განვაგრძობ ისევ კითხვას!..
ნუ მოძრაობთ, ნუ ტორტმანობთ, ყური უგდეთ ამ ჩემს სიტყვას:
„ამირანი წამოიჭრა,
ჯაჭვი გაწყდა ძველის ძველი,
ქვეყნად მოდის ისევ ცეცხლით,
გზას მოაპობს მკერდ შიშველი...
კავკასიონს გამოექცა,
სიმძლავრის და შვების ღმერთი...
მოდის, მოდის... ჰა, შეხედეთ,
შვენებასთან შენაერთი"!..

. . . . . . . . . . .

ხალხო, ხალხო, ნუ ბობოქრობ, დაწყნარე ეგ ზღვა შენი,
ხმა არ შეწევს, აღარ ძალმიძს მე ყვირილი აქ ამდენი:
დავიღალე მიტინგებზე, ხმა წამერთო, მტკივა ყელი,
ჰა, ხომ ხედავთ ვერ ავწიე დაქანცული ორივ ხელი...
მაშ... ჰო... ასე... თუ დაწყნარდით, კიდევ ვიტყვი ცოტა რამეს:
„ხალხის ხელფეხს ვინც ბორკავდა,
ის აწამეს, ის აწამეს"!..

. . . . . . . . . . .

კიდევ გრგვინვა, კიდევ შფოთვა!.. ისევ ტალღამ იგუგუნა?
მე არ ძალმიძს ამის ახსნა... ახლა სხვისთვის ეს ტრიბუნა...

ვ. მალაქიაშვილი.

---

# სოციალდემოკრატიულ პარტიაში

**თფილისის ს.-დ. ორგანიზაციის მეოთხე უბნის კრება.**

14 აპრილს, ქართულ გიმნაზიის შენობაში მოხდა სოც.-დემ. ორგანიზაციის მეოთხე უბნის კრება. თავმჯდომარეთ კრებამ აირჩია ლ. გ. ასათიანი, თანაშემწეებათ კრების მომწვევნი: უშინაშვილი და ქორფაშვილი. მდივნათ ი. ჯაფარიძე.

დღის წესრიგში შეტანილ იქმნა შემდეგი კითხვები: 1) საორგანიზაციო; 2) პირველი მაისის დღესასწაული და 3) „წითელი ლიტერატურის" დღე. არჩეულ იქმნა საორგანიზაციო დროებითი ბიურო 15 კაცისაგან: ალ. როხაძე, ს. ელიაძე, დ. ჭელიძე, ბ. მაისაძე, რ. ჯლამაძე, პ. ბურძგლა, ქ. კილანდაძე, ლ. ბერიტაშვილი, ი. ქარსელაძე, ვ. მუაშვილი, ი. ავაკოვი, ტ. რებრაკ, გ. კერვალიძე, დ. ათაბეგოვი, მ. ლოლაძე. ბიუროს დაევალა ახლო მომავალში უფრო ფართო კრების მოწვევა.

შემდეგ თავმჯდომარე აცნობს კრებას თფილისის კომიტეტის მიერ შემუშავებულ გეგმას პირველ მაისის დღესასწაულის შესახებ. კრება ავალებს დროებითი ბიუროს დ ხმარება გაუწიოს არჩეულ მომწესრიგებელ მე 4 უბნის ქორფაშვილს.

მოსკოვის სალდათთა დეპუტატების საბჭოს მოწოდებას: „წითელი ლიტერატურის" დღის მოწყობას—კრება აღფრთოვანებით ეგებება. ასეთივე აღფრთოვანებით მიიღეს წინადადება, რომლითაც მოუწოდებდენ არა მუშებს, ამხანაგ-ინტელიგენტებს, რომ იმათაც გაეღოთ წვლილი სარევოლიუციო წიგნაკ-გაზეთების სალდათებისთვის შესაძენათ. გამოითქვა აგრეთვე სურვილი ამგვარ წიგნაკების შეწირვის. შეწირულებანი უნდა გაიგზავნოს მუშათა დეპუტატების საბჭოში.

კრება დაიხურა 9 საათზე. ქ. ქ.

**ერკეთი (გურია).**

9 აპრილს შესდგა ერკეთ ონჭიქედის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. კრებაზე საკმაო წევრთა რიცხვი გამოცხადდა. თავმჯდომარეთ აირჩიეს გრ. მგალობლიშვილი, მდივნათ ანდრია ანთიძე. კრებამ დაადგინა, რადგანაც სოფ. ონჭიქედს ამ დროებით არ შესწევს ძალა ცალკე მოაწყოს ორგანიზაცია, ამიტომ უმჯობესია ერკეთ-ონჭიქედმა დროებით ერთ ორგანიზაციაში იმუშაოს. აირჩეს ყოველ ათ კაცზე ერთი—რწმუნებული საზოგადოების კოლექტივში დასასწრებლათ და აგრეთვე საწევრო ფულის მომკრები კომისია. კრებამ სასურველათ სცნო კვირას, 16 აპრილს მოწვეულ იქნა ერკეთის საზოგადოების ს. დ. მ. ორგანიზაციის წევრთა სრული კრება. ერკეთისელი.

**ფინლიანდიის სეიმის სოც. დემოკრატიული ფრაქციის მისალმების დეპეშა.**

ფინლიანდიის სეიმის სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა: ჩვენ სეიმის სოციალდემოკრატიული ფრაქციის დეპუტატები გულწრფელათ ვესალმებით რუსეთის ამხ. სოციალდემოკრატებს და მუხლს ვიდრეკთ თქვენ წინაშე. თქვენ დაამხეთ რუსეთის თვითმპყრობელობის კედლები და მის ნანგრევებზე აღმოცენებულმა თავისუფლების სხივმა ფინლიანდიაშიაც შემოაშუქა დიადი თქვენი გამარჯვება. მი ხედავთ ამისა ისტორიამ თქვენ წინ წამოაყენა უფრო დიდი პრობლემა: რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლების შენარჩუნება, მისი გაღრმავება რუსეთის, ფინლიანდიისა და საზოგადოთ მთელი კაცობრიობის მუშათა კლასის ერთობა-ძმობის მოსაპოებლათ. ამ ჟამათ მთელი ჩვენი ყურადღება თქვენსკენ არის მოპყრობილი.

**ფინლიანდიის სეიმის სოციალდემოკრატიული ფრაქცია.**

**სად. ფასანაური.**

5 აპრილს ფასანაურში შესდგა სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია, რომელზედაც 50 დე კაცი დაესწრო. ორგანიზაციამ უპირველეს მიზნად დაისახა გაავრცელოს ს.-დ. აზრები მთაში, ამ მიზნით მან საჭიროდ სცნო გასწიოს ხალხში პროპაგანდა, დაარსოს ს.-დ. ბიბლიოთეკა - სამკითხველო. ორგანიზაციამ ამოირჩია ხელმძღვანელი კომიტეტი ხუთი პირისაგან. პ. პ.

**ბათუმი.**

შესდგა სოც.-დემ. პროპაგანდისტთა კოლეგია. არჩეულ იქნა ბიურო, რომლის ხელმძღვანელობით იმოქმედებენ პროპაგანდისტები, როგორც სოფლათ, ისე ქალაქში.

— ადგილობრივი ს. დ. კომიტეტი მოუწოდებს ამხანაგებს ჩაეწერონ პარტიაში: წიგნის მაღაზია „განთიადში" და სმეკალოვის ქუჩაზე ყოფილი გუბერნატორის სახლში.

ხაშურის რაიონის სოციალ-დემოკ. მუშათა პარტ. ორგან. კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს ამხანაგებისათვის მოსამზადებელი კურსები, ამ მიზნით გამართავს სისტემატიურათ ლექციებს, რეფერატებს და სხვ. კომიტეტმა გადასწყვიტა პოლიტიკური კლუბის დაარსება. უკვე დაიქირავეს დაბის შუა გულში საზაფხულო ბაღი, სადაც დროებით იქნება მოთავსებული ეს კლუბი. პირველ ლექციას, ამ თემაზე: „პოლიტიკური რევოლიუცია და დემოკრატიული რესპუბლიკა" წაიკითხავს ამხ. ნიკ. იმნაიშვილი. შემდეგ წაკითხული იქნება ლექციები ამ თემაზე: „სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი". ნიკო გურული.

**მეორე რაიონის საორგანიზაციო კომისიის წევრთა კრება.**

დღეს, 20 აპრილს, საღამოს ექვს საათზე ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ბიუროს ბინაზე (მიხეილის ქუჩა), დანიშნულია თფილისის მეორე რაიონის სოც.-დემოკ. საორგანიზაციო კომისიის წევრთა კრება. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ კრებაზე. თევდორე ხუხუნაიშვილი.

**რუმინელი სოციალისტის რაკოვსკის ბედი.**

ამ ომში დიდი დანაკლისი ნახა რუმინიის სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, დაეღუპა მრავალი წევრი, დაჰკარგა ბევრი ბელადი. სხვათა შორის დღემდის ციხეში ზის ომის დაწყებისათანავე დატუსაღებული ექიმი რაკოვსკი, რომელიც რუმინიის ს. დ. პარტიის ერთ ერთ საუკეთესო ბელადათ ითვლება. იგი ცნობილი გახდა ჯერ კიდევ ჟენევის უნივერსიტეტში ყოფნისას, მის სოციალისტურ მუშაობას მალე მიაქცია ყურადღება რუსეთის ჟანდარმერიამ და ის იყო უნდა დაეჭირათ, რომ რაკოვსკიმ სამშობლოში გამოპარვა მოახერხა. ეს იყო 1905 წ. ის ენერგიულად შეუდგა პარტიის გამოცოცხლებას და ბევრიც გააკეთა. ამ ომში სასტიკი მოწინააღმდეგე იყო რუმინიის იმპერიალისტებისა, იგი სავსებით იზიარებდა ციმერვალდის რეზოლიუციას. ომის დროს მისი ოჯახობა ამოხოცეს, თითონ რაკოვსკი კი როგორც ვითომდა ბულგარელი ჯაშუში, ციხის ჯურღმულშია დამწყვდეული. მისი მდგომარეობა თანდათან უარესდება.

აცნობებს რა ყველაფერს ამას რუმინიის ს.-დემოკ. პარტია რუსეთის პროლეტარიატს, წინადადებას აძლევს მას—ძალა დაატანოს თავის მთავრობას, რათა მან რუმინიის მეფეს გაანთავისუფლებინოს რაკოვსკი.

**მარტოვის დეპეშა.**

პეტრ. მუშ. საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო მარტოვისაგან: გაცნობებთ ჩვენს აუტანელ მდგომარეობას, ინგლისით დაბრუნება ჩვენთვის ჯერჯერობით ყოვლათ შეუძლებელი შეიქნა და ეს იმ დროს, როცა პლეხანოვი, კაშინი და იმპერიალიზმის სხვა მომხრენი, რომელნიც ხელს უწყობენ ლიბერალების გამაგრებას სოციალისტების წინააღმდეგ თავისუფლათ ბრუნდებიან ხოლმე ინგლისის ბურჟუაზიის ლოცვა-კურთხევით, ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ყველა ამის გამო, ამნისტია ყველასათვის უნდა თანასწორათ არსებობდეს, ორი კვირაა, რაც ეს კითხვა დგას კერენსკის წინაშე. თუ მას არ უნდა, ან არ შეუძლია ამ საქმის მოგვარება, მაშინ ჩვენ თითონ გამოვნახავთ სხვა გზას, რათა დროზე დავბრუნდეთ სამშობლოში და თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ საერთაშორისო სოციალიზმისთვის. ჩვენ გელაპარაკებით რამდენიმე ასეულ გაძევებულ ძველ მებრძოლთა სახელით, გამოაქვეყნეთ ეს დეპეშა.

## ინგლისელები რუსეთის შესახებ.

(ამოღებულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის მე 18 ბიულეტენიდან).

— წყნარ ოკეანე-კანადის რკინის გზის ვიცეპრეზიდენტი ჯორჯ ბიური, რომელიც ეხლახან დაბრუნდა რუსეთიდან ინგლისში, აღტაცებულია იმ ენერგიითა და საქმიანობით, რომელსაც იჩენს რუსეთის ახალი სარკინისგზო ადმინისტრაცია. მისი აზრით რუსეთის მომავალი სავსებით დამყარებულია ტრანსპორტის მოწყობაზე, რაც საიმედო პირთა ხელშია და იმედია სასურველი გზით ივლის.

— **რას ფიქრობენ ინგლისელები რუსეთის რევოლიუციის შესახებ.** ინგლისი აღტაცებით მიეგება რუსეთის დემოკრატიის გმირულ ამოძრავებას, იმ დემოკრატიისას, რომელმაც ერთის დაკვრით დაამსხვრია საუკუნეთა განმავლობაში გამოჭედილი სულის შემხუთავი რეჟიმი. ყოველი გაზეთი ინგლისში, გარდა ერთისა, რუსეთის რევოლიუციას გულწრფელის სიხარულითა და ენტუზიაზმით მიეგება. მართალია აქა იქ გაისმოდა თანაგრძნობის ხმები ყოფილ მეფისადმი, ზოგიერთი გაზეთები ინგლისიდან დარიგებებსაც კი უკითხავდენ რუსეთის ხალხს, ჭკუას ასწავლიდენ, მაგრამ როგორც ირკვევა ამის მიზეზი რუსეთის პირობების არ ცოდნა იყო; [illegible] ცენზურა, თავისი გაჰქონდა საერთაშორისო ეტიკეტსაც. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ინგლისის პრესა იძულებული იყო პირზე ბოქლომი დაედო. ინგლისისთვის პირდაპირ შეუძლებელი იყო რუსეთის შინაგან ცხოვრებაში ჩარევა. პრესა იძულებული იყო ყველაფერს ზეზეურად შეხებოდა, ოფიციალური ტონი მიეღო. ამგვარ დამოკიდებულებას დღეს საბედნიეროთ, ბოლო მოეღო. დღეიდან ინგლისსა და რუსეთს არ შეუძლიათ მარტო უბრალო ნაცნობობა იქონიონ, ისინი ეხლა უკვე სრული მეგობრები არიან. ინგლისის დიდი ნაწილისთვის უშინაარსო სიტყვებია შტიურმერი, პროტოპოპოვი, შჩეგლოვიტოვი, არავინ იცის მათი გამცემლობა და მტარვალობა. ჩვენ ყველაფერ ამას გულმოდგინეთ გვიმალავდენ. და აი ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ინგლისელებმა უცებ გაიგეს, რომ პეტროგრადში ეხლავე ომის შეწყვეტას მოითხოვენო.

— როგორ,—გაკვირვებით ამბობდენ ისინი,—რუსეთმა თითონ მოიშორა სულის შემხუთავი თვითმპყრობელობა და ახლა გერმანიის დესპოტიზმს ურიგდება?

დღეს ამგვარ გაუგებრობას თანდათან ეღება ბოლო, ჩვენ ვიცნობით რუსეთს, რომელთანაც ერთათ ვიბრძვით საქვეყნო დემოკრატიის იდეალებისთვის და იმედია ორი ქვეყნის უდიდესი სახელმწიფოს დემოკრატიის დაკავშირება თავდები გახდება საუკუნო კეთილდღეობისა და პროგრესისათვის.

— **წყალქვეშა ნავების ბლოკადა და ინგ.** პირველმა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა ამას წინეთ მქუხარე სიტყვით მიმართა ინგლისის ხალხს, რომლისგანაც მოითხოვდა ახალი უდიდესი მსხვერპლის გაღებას. „მე თქვენ უნდა გითხრათ სრული სიმართლე,—სთქვა მან—მე ვერ დავუმალავ ხალხს, რომ მას მოელის უდიდესი საფრთხე, დადგა კრიტიკული მომენტი ომის ისტორიაში. წყალქვეშა ბლოკადამ დიდათ შეამცირა ჩვენი სავაჭრო ფლოტი; ახალი გემების აშენება თითქმის შეუძლებელი გახდა, ვინაიდან დოკები და მუშა ხელი სამხედრო გემებს უნდებიან. ჩვენი სავაჭრო ფლოტის თითქმის ნახევარზე მეტი რუსეთში, იტალიაში და საფრანგეთში მიმავალ ტრანსპორტს უნდება. ამიტომ საჭიროა ეხლავე ნახევრათ შევამოკლოთ ინგლისში შემოსატანი საქონელი და ამავე დროს გავაორკეცოთ ჩვენი სახნავ-სათესი მინდვრების ნაყოფიერება. ლოიდ-ჯორჯის სიტყვით ინგლისი გრძნობს მომენტის სიდიადეს და მზათაა უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ებრძოლოს მტერს. ამიტომ ყველა ინგლისელი მოქალაქე ერთგულათ ეწერება საყოველთაო შრომის მომწყობ ორგანიზაციაში და მით ქმნის ნაციონალურ არტელს, რომელიც მიმართულია ერის თავდაცვისაკენ.

ინგლისის გაჭირვებული მდგომარეობის დამახასიათებლათ მოგვყავს შემდეგი ამბავი: ერთმა ლონდონელმა დალაქმა ასეთი განცხადება გამოაკრა: „ვინც აქ წვერს გაიპარსავს —საჩუქრათ ერთ ქართოფილს მიიღებს, ხოლო ვინც თავს გაიკრეჭს—შაქრის ნატეხს". ყველამ იცის, რომ ეს განცხადება სახუმაროა, მაგრამ სადალაქოს მაინც ბუზებივით ეხვევა ხალხი. დღეს ინგლისში შაქარი უფრო ძნელი საშოვარია, ვიდრე რუსეთში. დუქნების წინ აქაც კუდებია, ასეა კართოფილის შესახებაც. არისტოკრატ ქალებს სტუმრათ წასვლისას, თან მიაქვთ შაქრის რამდენიმე ნატეხი. ინგლისელი იუმორისტები, ახლა ასე მსჯელობენ: ბრიტანელნი დღეს ორგვარ ხერხის შეთვისებას ცდილობენ: როგორ უნდა ისაუზმოს ხალხმა უსაჭმელოთ და როგორ გაიპარსოს პირი უსაპნოთ.

# მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოებში.

**თფ. მუშათა და ჯარ. კაც დეპ. საბჭ. აღმასრულებელი კომიტეტების შეერთებული სხდომა.** 19 აპრილს სასახლეში მოხდა მუშათა და ჯარ.-კ. დეპ. საბჭ. აღმასრულებელი კომიტეტების შეერთებული სხდომა. კრებას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. უმთავრეს განსახილველ საგანს შეადგენდა კავ. ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდზე მონაწილეობის მიღების საკითხი.

ჯარ. კაც. დეპ. საბჭოს მდივანი კუზნეცოვი და საბჭოს დანარჩენი წევრები მოითხოვდენ, რომ მუშათა და ჯარ. კ. დ. საბჭოები სიეზდზე შეერთებული გამოსულიყვნენ და კრება ორივე საბჭოს შეერთებულ პრეზიდიუმს გაეხსნა. ნ. ხომერიკი და მუშ. დეპ. საბ. აღმ. კომიტეტის წევრების უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იყო. ისინი ამტკიცებდენ: რადგან ამ ორი ორგანიზაციის ფაქტიური გაერთიანება არ მომხდარა, ამიტომ შეუძლებელია არა არსებული ორგანიზაციის სახელით გამოვიდეთ. ჩვენ წინადადება მივეცით ჯარ. კაც. დეპ. საბჭოს შეერთებულიყვით, მარა იგი დღემდის არ მოხდა და ამაში დამნაშავენი არიან არა მუშ. საბჭ. წევრები, არამედ ჯარ. კაც. საბჭოს ზოგიერთი წევრიო. ეს უკანასკნელნი კი ამტკიცებდენ: პრინციპიალურათ შეთანხმება უკვე მოხდა, არ მომხდარა ტეხნიკურათ, მარა დღეს, როდესაც საზოგადო საქმის ინტერესი შეერთებულ გამოსვლას მოითხოვს პრინციპი ტეხნიკურ მხარეზე მაღლა უნდა დავაყენოთო.

დიდი ხნის კამათის შემდეგ უყარეს კენჭი. 19 ხმით 4 წინააღმდეგ გადაწყდა ფრონტის სიეზდი გახსნას ორივე საბჭოს შეერთებულმა პრეზიდიუმმა. თავი შეიკავა 17 კაცმა, უმთავრესათ მუშებმა. შემდეგ კრება შეუდგა იმის განხილვას თუ რომელი პარტიების წარმომადგენლები იქნენ დაშვებული სიეზდზე და როგორი უფლებით. დაადგინეს: დაუშვან მხოლოდ რევოლიუციონური სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი სათათბირო ხმით. ასეთ პარტიებათ კრებამ იცნო სოც.-დემოკრატია და სოც.-რევოლიუციონერები. მათ უფლება მიეცათ იყოლიონ ხუთ-ხუთი წარმომადგენელი თათბირზე.

შემდეგი კითხვა იყო კავკასიის მხარის სამხედრო ცენტრის შექმნა. მომხსენებელი კუზნეცოვის აზრით საჭიროა, რომ ცენტრალური ორგანიზაცია შედგებოდეს 30 კაცისაგან; აქედან ნახევარს უნდა შეადგენდენ თფილისის გარნიზონის წარმომადგენელნი და ნახევარს ფრონტის. რადგან კითხვა მეტათ სერიოზული იყო და შეეძლო მას ფრონტის წარმომადგენლებში უკმაყოფილება გამოეწვია, ამიტომ იმის დამუშავება კრებამ განსაკუთრებულ კომისიას მიანდო.

სიეზდის პრეზიდიუმის შესახებ დაადგინეს თავმჯდომარე იქნეს ერთი, თავმჯდომარის ამხანაგი—3 და 7 მდივანი. ხოლო საბოლოოთ გამოსარკვევათა და დელეგატებთან შესათანხმებლათ ეს საკითხიც კომისიას გადაეცა.

ამის შემდეგ კრება შეუდგა იმის განხილვას თუ ვინ რომელ საკითხზე წაიკითხოს მოხსენება სიეზდზე. გადაწყდა: 1) თანამედროვე მომენტზე და ტაქტიკაზე წაიკითხავს ჯარ. კაც. საბ. წევრი (კომისარი) პაპოვი. 2) ომსა და ზავზე, თუ კ. წერეთელი არ ჩამოვიდა, წაიკითხავს დეპ. ჩხენკელი. მასვე ევალება წერეთლის მაგიერ გამუდმებით დაესწროს სიეზდის კრებებს. 3) დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ—

—ალ. ლომთათიძე, 4) მიწის საკითხზე—ილ. ქარცივაძე. 5) მუშათა საკითხზე—ნოე რამიშვილი. 6) მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატა საბჭოებს შორის დამოკიდებულების შესახებ—კუზნეცოვი. 7) სურსათის საკითხზე მოხსენების წაკითხვა მიენდო ფრონტის წარმომადგენელთ. წესრიგის გარეშე შემოდის განცხადება, რომ პეტროგრადიდან კავკასიის ფრონტზე ჯარის საჩუქრებთან ერთად ვაგონით მოაქვთ 40 ათასი ცალი გაზეთი „პრავდა“ და სწორედ ის პირველი ნომრები, რომლებშიც იყო პეტ. მუშათა და ჯარ. კაც.-დეპ. საბჭოების მოწოდება მოთავსებული და რომელიც შემდეგ საბჭომ უარყოფო. ილ. ქარცივაძე, ჯარ. კაც. დეპ. საბჭოს თავმჯდომარე და ბევრი სხვა მოითხოვენ, რომ „პრავდას“ უყონ კონფისკაცია. კრების მცირედი ნაწილი ამის წინააღმდეგია და დანარჩენები მოითხოვენ, რომ ფრონტზე ნუ გაუშვებენ, ხოლო სხვაგან ყველგან გაავრცელონ. დიდი ხმის უმეტესობით წყდება უქნან კონფისკაცია და არსად არ გაავრცელონ. გარდა ამისა კრება ადგენს ადგილობრივმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ორგანომ „იზვესტია“, გასწიოს წერილობითი კომპანია საერთოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ და კერძოთ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“.
კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

# მუშათა ცხოვრება.

**თფილისი.** 13 აპრილს თფილისის სასაკლაოში (ბოინში) მოხდა კრება მუშებისა, სალახების და მეხაშეების. სასაკლაოზე მომუშავეთა რიცხვი აღის 170 მდე, მაგრამ მოუცლელობის და სხვადასხვა მიზეზების გამოთ კრებას დაესწრო 95 მუშა; აგრეთვე კრებას დაესწრო თფილისის მუშათა საბჭოს წევრი ნავთლუღის რაიონის დავალებით ი. ალიხანოვი. თავმჯდომარეთ კრებამ ერთხმათ აირჩიეს ს. თურმანიძე და მდივნათ ი. ხორხაძე. კრების დღიურ წეს რიგში იყო შემდეგი კითხვები: 1. თანამედროვე ხანა, 2. მუშათა ორგანიზაცია, 3. წითელი ყვავილის დღესასწაული, 4. პირველ მაისობა, 5. ოცდა ორი აპრილი, 6. პროფესიონალური კავშირები. ყველა კითხვების გარჩევამდე ამხანაგმა ი. ალიხანოვმა კრებას ფართოთ და მკაფიოთ აუხსნა ყველა ზემო მოხსენებული 6 მუხლისაგან შემდგარი კითხვები. მსჯელობის შემდეგ კრებამ დაადგინა 1 შესაფერისი მცოდნენი ჩაეწერონ მუშათა პარტიაში, მიიღონ ცხოველი მონაწილეობა მომავალ მუშათა დღესასწაულებში წითელი ყვავილისა პირველ მაისობაში და ოცდა ორ აპრილში. პროფესიონალური კავშირის გეგმის შესამუშავებლათ აირჩიეს შვიდი კაცისაგან შემდგარი კომისია, აგრეთვე მოუწოდეს მუშებს რაც შეიძლება მალე მოახერხონ ორგანიზაციულათ შეკავშირება და შეუდგეს თავისუფლების ნიადაგის გამაგრებას. **ს. თურმანიძე.**

**თფილისის კანდიტერ-მეხუდკეების ცხოვრებიდან.** დიდის ხნიდან დაბეჩავებულმა და მიწასთან თითქმის გასწორებულმა კანდიტერ-მეხუდკეებმა ამოიღეს ხმა და შეუდგენ მუშაობას. აირჩიეს ორი კაცი მუშათა საბჭოში, აგრეთვე აირჩიეს პროფესიონალური კავშირის მომწყობი კომისია, რომელიც შეუდგა მუშაობას. თუმცა საკანდიტეროს მუშები ყველანი ქუჩაში გამოისტუმრეს, მაგრამ ამითი ის მუშები არ დაეცემიან სულით და უფრო ენერგიულათ მოჰკიდებენ ხელს ყოველივე მუშათა ორგანიზაციებში მუშაობას.

გარდა ამისა კომისიამ მოაგროვა ფული თავიანთ მუშებში ორი საჭიროებისთვის: პირველი პეტროგრადში რევოლიუციაში დახოცილთა ოჯახების დასახმარებლათ. და მეორე ბაირაღის შესაძენათ, სულ 315 მანეთი-100 მ. გადაიდო პეტროგრადში რევოლიუციის მსხვერპლთა ოჯახის დასახმარებლათ. და დანარჩენი კი 215 მანეთი დაიხარჯა ბაირაღზე.

ამხანაგ. მონდობილობით **კოწია კ.**

**ძ. თფილისი.** 14 აპრილს შესდგა სახელოსნო კლუბში, სასტუმრო რესტორან სასადილოების მეპატრონეთა კრება, რომელსაც დაესწრო მუშათა საბჭოს წევრი ამხ. ევ. დარჩია და პ. ქაჯაია. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1, კავშირის გამგეობის მიერ დათხოვნილი წევრების მიღება, 2) გამგეობისადმი ნდობა თუ უნდობლობა, 3) გამგეობის საქციელი, რომელმაც გამოუგზავნა მოწერილობა სახელოსნო კლუბის მამასახლისს არ დაეშვა შენობაში კრების გამართვა. კრებას დაესწრო 150-მდე წევრი. კრებამ დათხოვნილი წევრები ისევ უკან მიიღო, თან ზიზღი და უნდობლობა გამოუცხადა ძველ გამგეობას, რომელიც შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან: ი. სხირტლაძე, ნოე სიხარულიძე, დ. მაჭავარიანი, ს. მომცელიძე. შ. ლაღიძე, პარსეტოვი, პ. გოგელია. მათ მაგივრათ აირჩიეს შემდეგი პირები: ს. გიგიბერია, ს. ელიავა, ვარ. თოფურიძე, რ. იოსელიანი, ს. შევრელიშვილი, გ. აკოფოვი, დ. გიგიბერია, ხ. ზაგიროვ, ნ. აბაიშვილი. **ხ. მელი.**

# რევოლუცია პროვინციაში.

**თიანეთის მაზრა.** (შიგნით კახეთი). (დასასრული). 27 მარტი. დილით თფილისის წარმომადგენელთა თანადასწრებით მოხდა აღმასრულებელ კომიტეტის კრება. კრებამ მუდმივ თავმჯდომარეთ აირჩია ივ. ჩიბალაიშვილი, მდივნათ იოსებ ბოძაშვილი. კომისარათ ვასო იარამოვი. მილიციის უფროსათ კი კრებამ აირჩია გამოცდილი, საიმედო რევოლიუციონერი ნიკოლოზ ნადიბაიძე, სასურსათო საქმის კომისარათ მიხა ძებნიაური. ამავე კრებამ დაადგინა მილიციონერთა გაცხრილვა და რეორგანიზაცია. იქონია აგრეთვე მსჯელობა სხვადასხვა კითხვების შესახებ და საღამოს დაიშალა.

28 მარტს, დილით განახლდა კომიტეტის სხდომა, რომელმაც გამოაცხადა წინანდელ უკანონო კომიტეტის ლიკვიდაცია. ამავე კრებაზე თფილისის რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ არჩეული კომისარი თქვენი ჩვენებით პატიოსანი კაცია, მაგრამ რადგან ის ყოფილი ბოქაულია, სასურველია სხვა იქნას არჩეული. კრებამ კამათის შემდეგ ალიარა, რაკი ამჟამად სხვა არავინ მოიძებნება—დარჩეს ისევ და შემდეგ ვნახოთო.

შემდეგ ამისა ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა დააყენათ კითხვა ავტოკეფალიის, ავტონომიის და კ. აბაშიძის მილოცვის შესახებ. კამათის შემდეგ სამივე კითხვა მოხსნილი იქნა დღის წესრიგიდან. კომიტეტმა მიიღო მხოლოდ მიტინგის რეზოლიუცია და გაუგზავნა პეტროგრადში დეპ. ჩხეიძეს, კერენსკის და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს. კრებამ გაარჩია აგრეთვე რამდენიმე საკითხები და საღამოს დაიშალა. იმავე კრებამ მიიღო—გამოაცხადოს საყოველთაოთ, თუ ვინმეს ქრთამები მიუციათ მოხელე თუ სხვა პირებისათვის—დაუყოვნებლივ აცნობონ კომიტეტს. კომიტეტის განკარგულებით აღკრძალულია ლოთობა და ღვინის სმა. აგრეთვე მიმართეს მოწოდებით მილიციონერებს, რომელშიაც ნათქვამია, რომ სახ. მილიცია მზათ უნდა იყოს თავი გასწიროს სახალხო საქმისათვის, ქედი არ უნდა მოიხაროს არავითარ საფრთხის წინაშე, უნდა აასრულოს რევოლიუციის ნება-სურვილი და დარაჯათ უნდა უდგეს თავისუფლებას...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 26 მარტს, მიტინგზე, სოფლიდან მოსული ქალები გულით ხმობდენ ტირილით:—„ომი როდის გათავდება“.

29 მარტს, აღმასრულებელ კომიტეტმა თავის კრებაზე მსჯელობა იქონია, იმ 1100 მანეთის შესახებ, რომელიც ბოქაულ ვაშაძეს ჩამოართვეს. ნაც. დემოკრატების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ფული შენახული იქნას განსაკუთრებულ ფონდისათვისო, რომლის მიზანი იქნება ქართველთა შეიარაღებაო. კრებამ უარყო მისი წინადადება და დაადგინა: 1100 მანეთით შეძენილი იქნას სურსათი და უფასოთ დაურიგდეს გაჭირვებულ ოჯახებს.

— **ახმეტის რაიონი.** (თიანეთის მაზრა). მოხდა სასოფლო საბჭოების არჩევნები, შესდგა სარაიონო საბჭო, აირჩიეს სამაზრო კომიტეტის წევრები.

სარაიონო საბჭოში შედიან: ექიმი ხითაროვი, ვასო გიგლაძე, მიხ. შამანაური, ბობოლიაშვილი, ჯამბრულიძე, ბახტრულიძე, ქაჯაძე, ხოხობაიშვილი, ასათაიშვილი, ქოზაშვილი, გუმაშვილი და წოწკოლაურიანი.

— „პორუჩიკი“ მ. კიკნაძე, რომელმაც ფოსტიდან ფული გაიტაცა გურჯაანში დაატყვევეს და ადგილობრივ სარაიონო კომიტეტს გადმოსცეს.

გატაცებულ ფულიდან 200 მანეთი კიკნაძეს თელავში გადაეცა ყოფილ ყაჩაღებისათვის, ამ უკანასკნელებმა კი ეს ფული უკანვე დაუბრუნეს კომიტეტს. საქმის გამოძიების შემდეგ ახმეტის კომიტეტმა თფ. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გაუგზავნა, კიკნაძე კი თელავის აღმ. კომიტეტს გადასცა დაჭერილი, მხოლოდ ალ. მათურელი სოფლიდან სადღაც მიიმალა. **ანანია.**

**წერილი პოზიციიდგან.** (ქ. სოუდჟბულაგი). 2 მარტს მთელმა გარნიზონმა შეიტყო ახალი მთავრობას... 17 მარტს გაიხსნა საერთო კრება ოფიცრების და სალდათების დეპუტატების თანდასწრებით. კრებაზე ერთხმათ იქნა არჩეული თავმჯდომარეთ 3-მე სათათბიროს დუმის წევრი ბ. დოკტორი ბაკინი. თანაშემწეთ პრაპორჩიკი ფილიმონოვი. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. მათში მეტად შინაარსიანი იყო პრ. ფილიმონოვის, ბაკინის და პორუჩიკ მელუას; სალაპარაკოთ გამოდის აღელვებული გენერალი ჩერბიშევი, გულ ამოსკვნილი სტირის... მე არ მჯერავს—ამბობს ჩერბიშევი, რომ „царь Батюшки“ ს ელალატოს... გაისმის ხმები далой, далой! მე-განაგრძობს ის—დამარწმუნეთ მეფის ღალატში და მე.. მე... გაათრიეთ საძაგელი! далой его! ისმის ხმები.—მე ვრჩები, ვრჩები ძველი მთავრობის ერთგულათ და გინდ-მომკალით გინდ-მაცოცხლეთო... უკმაყოფილება... მოითხოვენ გაძევებას. თავმჯდომარე მოუწოდებს წესიერებისაკენ. გენერალი ჩერბიშევი გულ ამოსკვნილი სტირის...

თავმჯდომარე მოუწოდებს კრებას დაეხმარონ თავისუფლებისთვის დახოცილთა ოჯახებს. შეგროვდა განთავისუფლებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა და ომში დახოცილთა მხედრების ოჯახებისთვის 1000 მანათზე მეტი.

26 მარტს გადახდილ იქნა პანაშვიდი დახოცილ რევოლიუციონერთა მოსახსენებლათ. **პ. ხარიშვილი.**

**ლანჩხუთი.** 1917 წ. 15 აპრილს, დაბა ლანჩხუთში მოხდა ლანჩხუთის რაიონის ოტპუსკში მოსულ ჯარისკაცთა კრება, რომელმაც გაითვალისწინა რა სიდიადე დღევანდელი მომენტისა, ერთხმათ დაადგინა შემდეგი: 1) ყველა დეზერტირები და აგრეთვე ისინიც ვინც ოტპუსკს გადააცილა, წავიდენ თავიანთ ნაწილში 25 აპრილამდის. 2) ეთხოვოს ლანჩხუთის სარაიონო კომიტეტს, მიიღოს ღონისძიება, რათა ყველა ის პირები, რომლებიც სხვა და სხვა დარგის მუშებთა რიცხვში ითვლებიან, მაგრამ ნამდვილათ კი სახლში მუშაობენ, გაგზავნილ იქნან დეზერტირებთან ერთათ პოზიციაზე. 3) ეთხოვოს ამავე, რომ ის დეზერტირებთაგანი, რომელნიც მილიციაში ჩაწერილან, აგრეთვე გაგზავნილ იქნას მომქმედ ჯარში. 4) მოეთხოვოს ლანჩხუთის აღმასრულებელ კომიტეტს პასუხი, რატომ ვერ ჩაიგდეს ხელში ყველა ის საბუთები, რომლებიც იყო ლანჩხუთის საპოლიციო სამმართველოში. 5) ეთხოვოს ადგილობრივ საზოგადოებას, მადლობა გამოუცხადონ ლანჩხუთში მდგომ არტილერისტთა ჯარისკაცებს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოიხატა მათგან ცხენებისა და მუშა სალდათის მოწოდებაში. 6) ეთხოვოს სოფლის ყრილობას, შემწეობა აღმოუჩინონ იმ სალდათების ოჯახებს, რომლებთაც ოჯახში მუშა ხელი არ გააჩნიათ. ასეთი უმუშახელო ოჯახების გამორკვევა მიენდოს ადგილობრივ კომიტეტს.

კრების თავმჯდომარე **ხარიტონ მახარაძე.** ამხანაგი **ბართლომე თურნავა,** მწერმოებელი **შალვა კობახიძე.** ამხანაგების მონდობილობით **ნოვე ცინცაძე.**

**სად. ელისავეტოპოლი.** 14 აპრილს აქ ჩამოვიდნენ თფილისიდან რკ. გზის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ვიქტორ ნინიძე და პავლე წულაია. გამოსაძიებელი იყო ადგილობრივ კომიტეტის მდივანის ნ. გიორგაძის მოქმედება, რომლითაც ის ჩირქს სცხებდა როგორც სოციალდემოკრატიულ პარტიას, აგრეთვე ადგილობრივ კომიტეტსაც. დილითვე საჩქაროდ შესდგა კომიტეტის წევრთა კრება. გამოძიებამ აღმოაჩინა და დაადასტურა გიორგაძის საწინააღმდეგოთ წამოყენებული ბრალდებანი, რისთვისაც ის გაძევებულ იქმნა კომიტეტიდან და აგრეთვე პარტიიდანაც.

ნაშუადღევს სადგურის მახლობლათ, ეკლესიის გალავანში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი ადგილობრივ მუშათა, მცხოვრებთა და აქაური გარნიზონის ჯარისკაცთა თანადასწრებით. ბოლოს ამხ. ცხადაიამ გააცნო ხალხს, რომ ელისავეტოპოლში გაიმართება სისტემატიური ლექციები და მოუწოდა ხალხს დაეწაფებოდენ თვითგანვითარებას. საღამოს 6 საათზე კმაყოფილი ხალხი და ჯარისკაცები დაიშალნენ. **დამსწრე.**

**სადგური აქსტაფა.** 13 აპრილს აქსტაფაში თფილისიდგან ჩამოვიდნენ რკ. გზის ცენტრალური კომიტეტის წევრები პავლე წულაია, ვიქტორ ნინიძე და ელისავეტპოლის კომიტეტის თავმჯდომარე ე. ცხადაია. საჩქაროდ შესდგა ადგილობრივ კომიტეტის კრება, რადგანაც აღნიშნული პირები ჩამოსულნი იყვნენ როგორც გამომძიებელი კომისია დატუსაღებულის ტანკონოგოვის საქმის შესახებ. საქმის გამოძიების შემდეგ კომისიის წინადადებით დაუყონებლივ არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია კოოპერატივის ანგარიშების სარევიზიოთ, რადგანაც ტანკონოგოვის დაჭერას დამოკიდებულება აქვს ვითომდა კოოპერატივის გამგის მიერ ფულების გაფლანგვასთან.

საღამოთივე, ამ კითხვის დამთავრების შემდეგ ადგილობრივ სკოლის დარბაზში გაიმართა ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა საერთო კრება. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. ვიქტორ ნინიძემ გარკვევით და ნათლათ დაუსურათა დამსწრეთ მომენტის საკითხები, ომის საკითხი და სხვა მრავალი თანამედროვე კითხვები. გააცნო ხალხს სოციალ-დემოკრატიის როლი და ამ პარტიის ბელადთა მოღვაწეობა რევოლიუციის მსვლელობაში. ვრცლათ განმარტა ტაქტიკური მოსაზრებანი და შეხედულებანი და აზრი სოციალ-დემოკრატიისა წამოყენებული კითხვის შესახებ. დაბოლოს ცხარე აგიტაციით მოუწოდა ხალხს შეერთებული ორგანიზაციული მუშაობისაკენ რევოლიუციის დასაგვირგვინებლათ და დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის. ხალხი მეტის მეტად კმაყოფილი დარჩა და ორატორი მქუხარე ტაშის ცემითა და ვაშათი დააჯილდოვეს. სთხოვეს ხშირად სტუმრებოდა მათ რათა ხშირად გაეშუქებინა მათთვის თანამედროვე კითხვები. **რკინისგზელი.**

**ძ. პიატიგორსკი.** მარტის უკანასკნელ რიცხვებში თერგის ოლქის კომისარი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი კარაულოვი (კაზაკების აფიცერია) ჩვენც გვეწვია. მას დიდის პატივით შეხვდნენ. როგორც მისი საუბრიდგან გავიგეთ კარაულოვს შემოუვლია ის ყრუ, ბნელი უკულტურო სოფლები აულები, სადაც ცხოვრობენ კაზაკები, კ ბარდინელები და სხ. ბნელი ტომი. აუხსნია ხალხისთვის თუ როგორი არის თვითმპყრობელური მართვა გამგეობა, როგორია ხალხის თავისუფალი თვითმმართველობა. პიატიგორსკის კაზაკების განყოფილების უფროსი გენერალი პაპოვი „უგზო უკვალოთ მიიმალა“, მას თან მიყვა რამოდენიმე საჟანდარმერიო განყოფილების თანამშრომლები. **ი. შუშანიკაშვილი.**

## გაზეთის სასარგებლოთ.

ივანე ტ. ნიკოლაიშვილისაგან 4 მანეთი.

გრ. ნ. გიორგობიანისაგან 1 მანეთი.

ბაგრატ ბარბაქაძისაგან 2 მ. 60 კ.

ნესტორ არჩვაძისაგან 3 მ. მანვე 2 თვით გაზეთი გაუწერა ჯარისკაცებს.

**პატარა სამკერვალოდან.** იოსებ გურასპაშვილისაგან 2 მან., ვანო ავთანდილოვისაგან 1 მ., გიორგი გორგიჯანოვისაგან 1 მ. სულ 4 მ.

მივიღეთ გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის გარდაცვალებულის კოსტა გასპარის ძე ბერუჩოვის სახსოვრათ მისი ამხანაგებისაგან კისლავოდსკში შეგროვილი ფული. გრიგოლ ონელი 2 მ.; თითო მანეთი: რაზმაძე, Баратовъ, ათ ათი შაური: Липискій, გოგრიჭიანი, ლობჯანიძე, ბოხაშვილი. სულ 6 მ.

**სოფ. კალა** (ბაქოს გუბ.). ურთიერთ მეგობართა და თანამოაზრეთა ყრილობის დროს ჩემს სახლში პატივცემულ მარო მიქელაძის დახმარებით მოვაგროვე პატარა თანხა. აი შემომწირველთა სია: ელიზავეტა ზურაბის ასულმა ჯინორიძისამ 6 მან.; ხუთ-ხუთი მანეთი: პლატონ ლანდიამ, სილიბისტრო ახვლედიანმა; სამ-სამი მანეთი: ვანო მიქელაძემ, კოწია გოშუამ, ანეტ. ხიდირბეგიშვილმა, ევ. ფირცხალავამ, იონა მოგველაძემ, საშა ქავთარაძემ, არსენ ქავთარაძემ, მღვდელმა მამამთავრიშვილმა, ვასილ ჩხეიძემ, დათიკო ჩხეიძემ, ეკატერინე უზნაძისამ, მიხეილ ძაგანიამ, გრიგოლ საყვარელიძემ, ნიკოლოზ საყვარელიძემ: ორ-ორი მანეთი: ხიმმა საყვარელიძისამ, ვერა ჩხეიძისამ, №-მა; თითო მანეთი: მარო მიქელაძისამ, გუგულია ყიფიანისამ, მაშურამ, პავლე არეშიძემ. სულ 68 მ. გახლებთ ამ სიასთან ერთად სავსებით 68 მ. **ნიკოლოზ საყვარელიძე.**

თფილისის შტაბ-არმიის აბოზის კამანდის ჯარისკაცებმა პეტრე რუხაძემ და მალაქია კალმახელიძემ გამოუწერა სამ-სამი თვით მუშათა კლასის ინტერესების დამცველი გაზ. „ერთობა“ და „სოციალ-დემოკრატი“ მის კამანდის ამხანაგებს ქართველ ჯარისკაცებს და გახლებთ ჩვენშორის შეგროვილ წვლილს გაზ. „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლად. შემომწირველთა სია: თითო მანეთი: ილარიონ გოგიჩაშვილმა, სიმონ ლეინაშვილმა, ილარიონ ჩალაგანია, სოლომონ ობოლდორაშვილი, სანდრო მეტაცაშვილი, მალაქია კალმახელიძე, სპირიდონ მეცხვარიშვილი, ვლადიმერ ივანაშვილი, პეტრე რუხაძე; ათ ათი შაური: სიმონ ლეინაშვილი, რემანოზ აასნიძე; სულ ათი მანეთი.

ამხ. მონდობილობით **პეტრე რუხაძე.**

**თფილისის ხაზინოსნო სკოლაში არსებულ** (ჯარისთვის მწვანილეულობის გასახმობ № 1 და 2 ქარხნები. 16 აპრილს მოხდა არა ჩვეულებრივი კრება ადგილობივი ორგანიზაციის. დღიურ წეს-რიგში სხვა კითხვებთან ერთათ დაისვა კითხვა ერთდროულად ფულის მოგროვებისა—სასარგებლოდ: პოლიტიკურ განთავისუფლებულთა, მუშათა გაზეთების „ერთობის“ და „კავკაზსკი რაბოჩის“, „იზვესტიას“ მ. და ს. საბჭოსი ქალ. თფილისისა და რევოლიუციონური ლიტერატურის ფონდისა, კრების გათავების შემდეგ მოხდა ფულის მოგროვება, მოგროვდა 113 მან. რომელიც განაწილდა შემდეგ ნაირად: პოლიტიკურ განთავისუფლებულთათვის 20 მან., მუშათა გაზეთებისთვის „ერობას“ და „კავ. რ.“ ოც-ოცი მანეთი, „იზვესტიასთვის“ 25 მ. და რევოლიუციონურ ლიტერატურის სასარგებლოთ 28 მან. განაწილების სისრულეში მოყვანა მიენდო მუშათა საბჭოს დელეგატს კ. ნორაკიძეს.

თფ. მუშათა საბჭოს წევრი **კ. ნორაკიძე.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთ „ერთობის“ 14 აპრილის მე 23 ნომერში მოთავსებულ წერილში—„თფილისის სასწავლებლების დაბალ მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი“, სხვათა შორის ნათქვამია ვითომც მე საეპარქიო სასწავლებლის მოსამსახურეთა „ცხოვრების ყოველივე გაუმჯობესობის წინააღმდეგ სასტიკათ გამელაშქროს“. ეს სიტყვები სიმართლეს არ შეიცავს. მე და არც სხვა ვინმე ჩვენს საეპარქიო სასწავლებელში მოსამსახურეთა ცხოვრების გაუმჯობესობის წინააღმდეგი არ ყოფილვართ და არც ვიქნებით.

საქმე ეხება რამოდენიმე მოსამსახურის ჩვეულებრივათ და პირობისამებრ დათხოვნას, რადგანაც სასწავლებელში სწავლა დამთავრდა 24 მარტს და პანსიონიც დაიკეტა.

მიკვირს, როგორ არა სცოდნია ზემოხსენებულ სტრიქონების დამწერს, რომ საეპარქიო სასწავლებლის საქმეებს განაგებს სასწავლებლის საბჭო და არა ეკონომი.

მღვდელი **იგნატე მენთეშაშვილი.**

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით შევეკითხო ციმბირელ-პოლიტიკურებს შემდეგი: 1912 წელს ენისეის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯეს პოლიტიკურ დამნაშავეს ვიკტოს ასალოს ძე ერქომაიშვილს, მას შემდეგ რაც ის მივიდა დანიშნულ ალაგას—ენისეის გუბერნიაში; მისგან არავითარი ცნობა არ მოსულა, ცოცხალია თუ არა, არ ვიცით—გთხოვთ, უმორჩილესათ თუ ვინმემ რამე ამბავი იცით მის შესახებ გვაცნობოთ. Гор. Озургеты, Кут. губ. сел. Шемокмеди-Цителмта Іосифу Еркомаишвили.

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სად. სარიყამიშის რკინის გზის რემონტის მუშებს, და მე-2 კავკასიის რკინის გზის ბათალიონის ჯ.-კაცებს, რომლებმაც კეთილი ინებეს და დახმარება გაუწიეს განსვენებული ჯიბო მან. მაღრაძის ქვრივ ობლებს. სულ შემოსწირეს 33 მანეთი *).

ქვრივი ჯიბო მაღრაძისა მარიამ მ.

## ცნობები

### ჯარის კაცების შესახებ.

ამით ვაუწყებ მშობლებს და ნათესავებს, რომ გარდაიცვალა ერთი კვირის ავათმყოფობის შემდეგ ილარიონ მიხეილის ძე კაპანაძე, რომელიც დავასაფლავეთ კიმპალურგის მახლობლათ სოფ. პაჟარიტაში.

მისი მშობლების მწუხარების მონაწილე **ჯ.-კ. ერმალაი ე. ფოცხიშვილი.**

ჯ.-კ. ტიტიკო მიხეილის ძე დოლიძე ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ს. ქვედა ბახვი, მსახურებდა კავკ. მომქმედ ჯარში, მეორე კავკ. მსროლელ ფეხოსან პოლკში პირველ როტაში, პირველ ზვოდში შვიდი თვეა მის შესახებ არაფერი იციან მისმა მშობლებმა და ყველას სთხოვს ვინც რაიმე იცის მის შესახებ აცნობონ შემდეგი მისამართით: ქ. ოზურგეთი, სოფ. ბახვი მიხა გიორგის ძე დოლიძეს.

— ჯ.-კ. ნიკოლაი ირაკლის ძე ზამბახიძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ქართველთა ცხენოსან ჯარში 1 ესკადრონში. სამი თვეა რაც მის შესახებ არაფერი ვიცი. უმორჩილესათ ვთხოვ ყველას, ვინც იმის შესახებ რამე იცის, მაცნობოს შემდეგი მისამართით: დ. ჩოხატაური, (ქუთ. გუბ.) ს. შუა-ამაღლება ილარიონ ზამბახიძეს.

— ჯ.-კ. აკაკი სტეფანეს ძე ნასრია, მსახურებდა: კავკ. არმია, ქართვ. მსროლელი პოლკი, 11 როტა, 2 ვზვოდში. შვიდი თვეა რაც მშობლებმა არაფერი იცის, ვსთხოვთ ყველას ვინც რამე იცის გვაცნობოს ნიგოითში: კიმოთე ორმოცაძეს.

— გერმანელებთან ბრძოლაში 12 მარტს უგზო უკვლოდ დაიკარგა პოდპორუჩიკი სერგო ალექსის ძე პაიჭაძე.

— ჯარისკაცი ივანე ერმალოს ძე გაბეჩავა, მიქელგაბრიელის საზოგადოების, მსახურებდა უკანასკნელათ სარაყამიშში 151 „სბორნი პუნქტ“-ში. გადის ოთხი თვე არაფერი ვიცით მის შესახებ (ის უკანასკნელათ დაავათმყოფებული იყო). ამისათვის ვსთხოვთ ყველას, ვინც რაიმე იცის მის შესახებ—გვაცნობოს ამ ადრესით: Тифлисъ, Самовольная 59 Г. Жгенти.

— წელიწადზე მეტია, არავითარი ცნობა არ გვაქვს 499 ოლვიპოლის პოლკის მეთექვსმეტე როტის ჯარისკაცის მიხეილ ნიკოს ძე ხაჩიძის შესახებ (მცხოვრები სოფ. ნაცარ-გორის მაზრა). დამგლოვიარებული მშობლები სთხოვენ, ვინც კი იცის რამე მის შესახებ, აცნობოს შემდეგი მისამართით: სად. მიხაილოვი, დეპოში ტიმოფეი ხაჩიძეს.

## ჩვენი ფოსტა.

ალ. წეველს. მიმართეთ ყვირილის ორგანიზაციას.

*) სია უადგილობის გამო ვერ იბეჭდება. რედ.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. №6, [illegible] ქაღალდის და წიგნის მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაიგზავნება მსურველთა ფული გამოგზავნისთანავე.
პროვინციის აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. „განათლება“, „კავკასიური [illegible]“, „ორიზონი“, „პაიქარი“, რუსული ჟურნალი „დელო“ და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.